

ლიტერატურული გაზეთი

№9(145) 8 - 21 მაისი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ზაალ სამადაშვილი თვრამეტი წლის რომ ხარ

თვრამეტი წლის რომ ხარ და ყოველ დილას შინიდან უჭმელი გარბიხარ, რათა ლექციაზე არ დაგაგვიანდეს, შუადღის დადგომამდე ერთი საათით ადრე მგელივით გშივდება. სასადილოში შესასვლელი ფული თითქმის არასოდეს არ გაქვს; ძნელია მანეთის გადანაწილება მგზავრობაზე, სიგარეტსა და დანაყრებაზე. თხუთმეტკაპიკიანი „პრიმა“ რომ იყიდო და ნარინჯისფერი „იკარუსით“ იმგზავრო უნივერსიტეტის მალღივ კორპუსამდე და უკან, „შნიცელის“ ფული მაინც არ გრჩება, მეათე სართულის ბუფეტს უნდა დასჯერდე, სოსისით და პურის ერთი ნაჭრით, ანდა გალიგვული „ფენოვანი“ უნდა მოიკლა შიმშილი. და ეს იმ დროს, როცა ქვევით, მეორე სართულზე, ქურებთან მოფუსფუსე მზარეული კარგად დაბრანულ კატლეტს აწყობს ფრიალა თევშებზე და ზემოდან სურნელოვან სოუსს ასხამს გრძელტარიანი ჩამჩით.



III


ჯარჯი ფხოველი ადგილის დედა

საუკუნის ათიან წლებში
მოინათლა ეს ქალაქი:
როგორც მშიერი პოეტების ადგილის დედა...

აბა, რა არის გასაკვირველი,
უპირველესად ლექსი რომ გშია...
უპირველესად სიტყვა რომ გშია...
უპირველესად შიში გშია...
უპირველესად გული გშია...
უპირველესად სამშობლო გშია!..

შიმშილის სახელით დაგეძებენ ეს სიტყვები
და ამ მშიერ გარეშემოში
შენ კარებს უღებ და შინ შემოგყავს
შენს შიმშილში და შენს მშიერ შუაქალაქში,
შიმშილის ალიტერაციებით შემოღობილში,
სადაც შიმშილის ადგილის დედის ლექსი გშია,
სადაც დედაენის გული გშია,
სადაც შიმშილის სამშობლო გშია!

IV



გამომცემლობა „ინტელექტი“ უახლოეს დღეებში გამოსცემს ბესიკ ხარანაულის მეტაპოეტურ ნიგნს „ყვავი ხის წვერზე ისალამოებს“.
გთავაზობთ ფრაგმენტს მომავალი ნიგნიდან.

ბესიკ ხარანაული

ჩემს სახლში ყველა ციხეზე სუფთა ჰაერია

თუ შიდაგამოსახლება უკვე აქვს კაცს,
გარეგამოსახლებას თვალი აარიდოს.
თუ გარესარკვეში კარგა აქვს საქმე,
შიგნით ნულა ჩაიხედება.

მაგრამ ისეც არის, რომ შიდა სარკეში კაცი — მაიმუნია,
გარე სარკეში ჩაიხედავს და, — ვეფხვი ყოფილა.

ხან ორივეში უბედურია, ხან კი ლამაზი არის ორთავეში.

სად იყვნენ ესენი, მე რომ ვიყავი?
სად იყო მაშინ ეს ყველაფერი?

მხდალია ადამიანი, ხალხიც მხდალია,
მისალმებისაც კი ეშინიათ,
იმიტომ რომ მხდალია ადამიანის მოდგმა.

დედაჩემი რომ ასეთი მხდალი ყოფილიყო,
დარჩებოდა ჩემი მარცვალის სამყაროში გაუღივებელი,
გავიზრდებოდი ისე,


რომ ვერ განვასხვავებდი სოფლურ ენას ნიგნურისაგან.
არ მეცოდინებოდა, რომ „საჯდომი“ ნიგნურია და „ტრაკი“ სოფლური,
ვერ დავტკბებოდი მდაბიორთაგან მესხვე, გალექსებულ ენით,
ჯირკვლების ანთება დამემართებოდა...
არ მეცოდინებოდა რომ „ჩაცეცხლე!“ ნამდვილია და
„ჭამე!“ კი ევფემისტური,
ხოლო „მიირთვი!“ გალექსებულია და მდაბიორს ყელზე დაადგება.

აი, რაები გამომრჩებოდა, იქ რომ ვიყო, სადაც სხვები ყრიან.
აი, რაებს არ ვიტყვოდი,
ასსამოცდათხუთმეტი წლის ტყავი რომ არ მეცვას
და შიგ თხუთმეტი წლისა არ ვიტანჯებოდე.

ქება და დიდება შენ, ბესარიონ, ჯოჯოხეთში გამოზრდილო,
იქედნეთა შორის მავალო,
ქება და დიდება შენ,
ყველა ჯილდო ხორციელი ხომ მოიპარე, საიქიოს კეთილგანწყობა
დაგრჩენია, მნამს იქაც შექვრები უბილეთოდ,
როგორც თქვენი სოფლის კლუბში,
მნამს გიხილავ სალხინებელში.

სადმე შკოლაში კი არ ისწავლე,
არამედ ნელინადის რვათვიან ზამთარში,
კლდეში, ღრეში, ქარში, ავდარში,
სამი თითით აღებულ მარილში...
რადგან შენი „მე“ მკვეთრად გამოხატული ეგოიზმი კი არ იყო,
მკვეთრად შეგრძნობილი სიცოცხლის ხე იყო, ძმავ ბესარიონ.





ბესიკ ხარანაული

ჩემს სახლში ყველა ციხეზე სუფთა ჰაერია

შიშშილი აუგად არ მოიხსენიო,
 გახსოვდეს, რომ დედაშენს შიოდა.
 სიცივე აუგად არ მოიხსენიო,
 გახსოვდეს, რომ დედაშენს სციოდა.
 რომ მის სხეულში მდგარი ცივი რძე
 სანოვარათი შენს სხეულში შემოდიოდა,
 მუცელს გატკივებდა, გატირებდა, გაღწავლებდა, ბესარიონ,
 ისე გაბღავლებდა, რომ ბებოშენი გამთბარ კრამიტზე განვენდა პირქვე.

მეორე კრამიტი კი ლამის ქოთანი იყო.
 და, თქვენს სახლსაც ხომ კრამიტი ეხურა თავზე...
 მერწმუნე, ბესარიონ, ყველაფერი სახსოვარია
 და აუგად არ მოიხსენიო.

სახსოვარია, რომ ერთი ხარ და არა საერთო არსება,
 რომ ათშიც არ ხარ და არც ათასში
 და მრავალშიც ვერ გპოულობენ...
 რომ ერთი ფეხი სანთელი ხარ,
 რომელიც დედაშენმა აანთო შენი გაჩენის საყვირზე.

დიდება შენ, რომ ჯაგებში შობა არჩიე ვარდებში გაჩენას,
 რომ შიშშილი და ყინვა არჩიე სითბოს და სიმძლერეს,
 რომ სინამდვილეს ფეხსაცმელივით იოლად ირგებდი,
 რომ დიდიც და პატარაც ერთნაირად კარგა გმსახურებდა.
 ქება და დიდება!
 შენს თვალებში ცრემლი არავის უნახავს, როგორც ბროლიში არა ჩანს მგელი.
 ამიტომაც მოგაგებენ პატივს ქალები მომავალ დროებში.

ყოველი ქალ-დედროვანი, ვინც ტრიკოს იცვამს,
 და ყოველი ქალ-დედროვანი, ვინც ტრიკოს იხდის,
 ვინც ფერცხეულია, ვინც ცოცხის დამჭერი,
 — შენ გემორჩილება.
 ვისაც გიყვარს დუმლიში საქმე,
 ვის ბაგეზეც გიჟის სიტყვა დევს
 და გულისჯიბებში მანდილოსნის პირასაკრავი.

ყველა გვიან ხვდება, რომ მოკვდავია, სიცოცხლეში მას ამისთვის არა სცალია.
 ჩქარობს სიცოცხლეს, გაზაფხულამდე ზამთარიც ვერ მოუთმენია.
 თუმცა კაცს მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარული ახასიათებს,
 წესიერად ისიც არ იცის.

შენ აღერებული ბიჭების ბელადი იყავი,
 მაგრამ სული არ დაგიმძიმებია სურვილისაგან,
 ამიტომაც მოგაგებენ პატივს ქალები მომავალ დროებში,
 რომ ქალების მახვილი იყავი,
 რომ თავისუფლება მოგქონდა მათთვის მომავალ დროებში,
 რომ ვიდრე მინაზე სურვილი არსებობს,
 შენ ქალებში მოიხსენიები კიდევ და კიდევ,
 შენს საფლავზე სანყევარა კოშკს ააგებენ,
 წარსულისთვის მომავალ დროებში.

ქება და დიდება შენ, ბესარიონ,
 ერთი სული მაქვს, რომ დავსხდეთ და ერთად ვიცინოთ.
 შენ აბრუნებ ადამიანებს თავის პირუტყვში,
 აბრუნებ თავის ბოროტში და თვალთმაქცობაში,
 რომ არ დასხდნენ გზაჯვარედინებზე
 და იქადაგონ სიკეთე და კაცთმოყვარება:
 „ფეხი არ დასძრათ თქვენი თავიდან,
 ჩემს ხალხს ახლოს არ გაეკაროთ,
 თვითეულს
 თითო ჯორის ბარგი ისარი გკიდათ შავი ჭირისა,
 ჭორისა და უნამუსობის,
 მოშორდით ჩემს ხალხს, დარჩით თქვენს ბოროტში!“

ქება და დიდება შენ, ბესარიონ!
 ყოველ დილას ხამს იკითხო: „ღმერთო, ნეტა რისთვის?“
 „დაიბადე მომავლისთვის, არა დღეის დღისთვის!“
 ყოველ დილას
 ხამს აღმართო შენი თავის ალამი,
 ვიდრე ქორივით გასაფრენად ფრთებს გაუშვებდე.
 ყოველ დილას ხამს ეძებო არა ხალხის სალამ-ქალამი,
 არამედ ხელთ იპყრა ცოცხი და კალამი,
 რომ ერთით გზა გაიწმინდო, მეორით სული“.

ქება და დიდება შენ, ბესარიონ,
 რომ ნამდვილი არ იცი:
 რა ცოდნა უნდა ქარს, მითხარი,
 თუ შენკენ სახურავის შიფერი მოქშუის.
 ქება და დიდება შენ, ბესარიონ,
 რომ ნამდვილი არ გინდა:
 ჯერ ერთი, გაგსრეს და მეორეც
 იმიტომ, რომ არ დაგიჯერებენ.
 დიდება შენ,
 ბაგეზე დადებული გიჟის სიტყვა რომ არ გაამყლავნე:
 რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ნამდვილის გარეშე.
 დიდება შენ, ბესარიონ!
 ასეთ მანქანებით ინახავს ბრძენი საიდუმლოს —
 ხან ბევრი სიტყვით, ხან კი — არც ერთით:
 „გიჟმა იცის. მე ვინ დამადებს ბაგეებზე გიჟის საიდუმლოს“.
 და გაგეცლებიან.

ქება და დიდება შენ, ბესარიონ,
 ენდე თავს, მაგრამ ჯოხი იქონიე,
 ინტერნეტის ქოხ-სამკითხველოებშიც კი იციან შენი ამბავი
 და საიდან ეცოდინებათ ნამდვილი,
 რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ნამდვილის გარეშე
 — ცოცხით და კალმით.
 ვინაიტგან: ორი რამეა სამყაროში ურთიერთტოლი,
 მტკერი და ფიქრი.

სულ გისაზომებდა ცხოვრება ჯოხს, სულ გიღირებდა,
 გამოსტაცე და ზედ დაამტვრიე.
 აკანკალებთ შენს დანახვაზე,
 ფეხს ადგამ, როგორც ბალახის კალიებს.
 აფასებენ შენს მომკვდარს და ცოცხალსა ლხინობენ.

მექებრულია შენი სული, შენი ალლო მძლევარისაა.
 მიხვედრისა და გარემოს შეგრძნების ნიჭი არწივისგან გაქვს,
 მხრით რომ გათელავე ყვავე-ყორნებს ხოლმე
 და ორბის ფრთებს ჭალაში გასულ ბაღლებს რომ აპოვნინებ.
 სტერილური არავის ეგონო,
 ზნენი ზოგ-ზოგნი ქურდ-ბოზებისგან აიაღლოვე,
 ამიტომაც შენი ლექსი — შენი დარია.

ამიტომაც ბევრი ქალი დადის შენი ბნკლით გაგაზული,
 ამიტომაც — კვლავ უფროო! — მოგძახიან დედაკაცები,
 ნადირობიდან დაბრუნებულ მონადირესავით:
 — კვლავაც ბევრი გენჭყრიოს და გაგეგაზოსო,
 სხვა დროსაცო გებრუნოს ჩვენზე,
 როგორც შენი ყანის ნაკვეთზე.

მაგრამ სასწაულის მოყვარეა ოდითგან ხალხი
 და შენც,
 სანამ თოვლიან მთას ქუდი ზედ არ გადააფრიალე,
 სიტყვას არ ენდვენ.
 შენს მინაზე ეშმაკიანი ადგილები ძალიან ბევრია
 მაგრამ შენგან გაფიცებულ კლდეებზე ფეხს ვერ იკიდებენ.

დედიძაშენის სისხლს, უძიებელს ცაშიც არ დატოვებ,
 ლექსის ბნკალით ძირს ჩამოიტან!

ქება და დიდება შენ, ბესარიონ,
 ხამს სამყაროში ერჭო სარ-დარად
 და წია-წია ვარსკვლავებს ათვინიერებდე.

როგორც წველიდა დედაშენი ძროხას
 ცუდ ამინდშიც ისე, როგორც კარგ ამინდში,
 დაე, ბრაზი იყოს შენთვის ამინდი,
 რადგან არც ერთი სხვა გრძნობა ამ საქმეში არ გამოგადგება.
 ქუხილიც გადაივლის, რისხვაც გადაივლის, ელვაც ცაზე გაქრება,
 სახეზეც სიცილი.
 მხოლოდ ბრაზი არის ამინდი
 და არც ერთი საქმე არ გამოდის გაუბრაზებლად.

ალალი იყოს შენზე ეს სიტყვები, თქმული ჩემგან გაჭირვებაში
 და მით უძღურების სულის დამარცხება.

ზაალ სამადაშვილი

დასაწყისი პირველ გვერდზე

მე და ჩემ მეგობარს, ვისთანაც „შნიცელი“ პირის ჩაგემრიელების გარდა „როლინგ სტოუნზით“, ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრებითა და „ასწლიანი მარტოობით“ აღფრთოვანება მათთანავე და, ფულის მოპოვების უჩვეულო ხერხი გამოგვაშუქავენინა მუდმივმა ხელმოკლეობამ. წერილებს ვუგზავნიდით თანაკურსელ გოგოებს, ცხადია, შეძლებულებს, მხოლოდ ტაქსით რომ მგზავრდებოდნენ და ხუთოსონის სტიპენდიებს რომ იღებდნენ. თითოეული წერილი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, პირველი გახლდათ სონეტი ადრესატის საილამაზისა და გონიერების შესახებ, ხოლო მეორე — შეთავაზება, რომლის თანახმადაც, თუკი წერილს დაიტოვებდნენ, რათა წლების შემდეგ ხელახლა ენახათ და გაეხსენებინათ, როგორ აღიქვამდნენ მათ ბიჭები, ცრემლები მოსდგომოდით თვალზე გაფერმკრთალებული სტრიქონების კითხვისას — გაეღოთ გასამრჯელო, სულ რამდენიმე გროში... თუ არა და, უკან დაებრუნებინათ, ანდა დაეჭმუჭნათ და გადაეგდოთ კონსპექტისთვის განკუთვნილ რეგულიდან ამოგლეჯილი ფურცელი...

გოგოებს ერთხელაც არ გავუზნებელივართ ჩვენი ნამუშევრების უგულვებლყოფით, დაუსურვებლად გვიგზავნიდნენ ხურდა ფულს თითქმის ყველა ჯერზე. ალბათ მოსწონდათ სონეტებიც და ზარდახშებში მათი შენახვის იდეაც, თუმცა არ გამოვიცხადებ, რომ სულის სიღრმეში მაინც ტაკიმასხარებად აღგვიქვამდნენ. მე კი მგონია, რომ უბრალო, მხიარული ბიჭები ვიყავით, ჩაუძაბავები; ძალით დაბოხებული ხმით კრეტილობებს არ ვიმეორებდით და უპირატესობას შავ ტანსაცმელს არ ვანიჭებდით. მე არც ისე გრძობად, ყურის ბიბილოებად, ჩემს მეგობარს კი ლამის მხრებამდე ჰქონდა ჩამოზრდილი თმა. სხვებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ აჭიმებს ხმარობდა, ბრტყელებს, ვერცხლისფერ ბალთიანებს, შარვალზე ღილებით დასამაგრებელს, ისეთებს, ამერიკულ კინოებში, მზით გარუჯულ ფერმერებს რომ ეკეთათ გამოხუნებულ ჯინსებზე...

სონეტების თხზვითა და გზავნილების გაცვლით პარტისტორიის, ათეიზმის, მეცნიერული კომუნიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ლექციებზე ვკავდებოდით. მათთან, ვინც რიმანის გეომეტრიასა და მრავალგანზომილებიან სივრცეებზე გვესაუბრებოდა — გასუსულები ვისხედით. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შედარებით უმეტესობა განსაკუთრებული სიმკაცრითა და მომთხონელობით არ გამოირჩეოდა. შესაძლოა, სულ ცოტათი მაინც რცხვენოდათ, საშინელი ტყუილებით რომ გვგებრავდნენ. თუმცა მათ შორის იყო კაცი, რომელსაც მკაცრი კი არა, მრისხანე ეთქმოდა. სუსხიანი, გამჭოლი მზერა ჰქონდა, ვისაც მიაპყრობდა, აფიქრებინებდა — რამე ხომ არ დაემაჯავო; აუღიტიორიის წინაშე მდგარი არც ჰყვებოდა და არც განმარტავდა — ბრძანებებს გასცემდა. ყურმოკვრით ვიცოდით, რომ ნაფრონტალი იყო და კონტუზია ჰქონდა მიღებული სტალინგრადთან...

მის მიერ ლექციის შეწყვეტა და ჩემი მეგობრის გვარის ამოძახება კარგს არაფერს მოასწავებდა. ალბათ მაშინ გვკიდა თვალის, აქეთ-იქით რომ ვიხრებოდით ხელგანწვდილები; ანდა იმ დროს, ერთმანეთს რომ ვეჩურჩულებოდით ხურდების თვლისას. რატომ მხოლოდ მისი გვარი და ჩემი — არა, გამიკვირდა. მას შემდეგ კი, რაც თავისთან მიიხმო, კათედრის წინ დააყენა და ყვიროდა დაუწყაო, მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი. პირველად ის მიახალა, რას ჰგავხარო. მერე არც აცია, არც აცხელა და თეორია ჩამოაყალიბა, თურმე საეჭვო პერსონების გაიდებება, მათი შეხედულებების მოწონება და გაზიარება განსაზღვრავს ყველაფერს — მეტყველების მანერას, ქცევას, აზროვნებისა და ჩაცმის სტილს. ამკარა იყო, გრძელი თმა, ჭრელაჭრულა პერანგი და კოვზოური აჭიმები ისე აღიზიანებდა, როგორც ხარს — ნითელი ნაჭერი. სიბრაზისგან ყბა უცახცახებდა, კისერზე ძარღვები ჰქონდა დაბერილი... მიუხედავად ამისა, ვფიქრობდი, რომ დასასრულისკენ ოდნავ მაინც შეარბილებ-

და ტირადას, ბოლოსდაბოლოს, პროფესორი კაცი იყო და ლამის შვილიშვილებად ვერგებოდით. შეეცდი, პირიქით მოხდა, მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორმა საჩვენებელი თითი სახესთან მიუტანა ჩემს მეგობარს და უთხრა — ომის დროს შენისთანას ტრიბუნალს გადავცემდიო...

თვრამეტი წლის რომ ხარ, მაგრად რომ გშია და ჯიბეში გვარიანად დანაყრები-სთვის საკმარისი თანხა — მანეთი და სამოცდაათი კაპიკი გიღვეს, დიდად არ განაღვლებს ნერვიული ბერიკაცის გაანჩხლება და მეტიც, სასაცილოდ გეჩვენება მის მიერ წარმოთქმული, უფრო სწორად, ამოსროლილი ფრაზები. წინ დიდი შესვენებაა, არც მეტი, არც ნაკლები — ოცდახუთი წუთი, რომელიც სტუდენტურ სასადილოში უნდა გაატარო, შეეცქე უგემრიელეს „შნიცელს“, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ამ კერძის კლასიკურ, ავსტრიულ ნიმუშთან — ხბოს ან ღორის შემწვარ ხორცთან კარტოფილის გარნირით და იყბედო ყველაფერზე, რაც თავში მოგივა... კერძოდ, მორიგი სონეტის ადრესატზე, მოკლევადიან გოგოზე, რომელსაც შენ თვალწინ, კიბეზე ამორბენისას ქუსლი ამოუხტა ნავის მოყვანილობის კოპნია ფეხსაცმლიდან... იმაზე, თუ რა მოხდენილად ჩააცურა უკან ტანისა და ხელის მსუბუქი მოძრაობით... იმაზე, თუ როგორ გასურს, გულწრფელად, უნაგაროდ შეასხა ხობტა ყოველივე ამას...



არდონის ქურის პური

მაკაფიოდ მასსოვს შუახნის კაცები, რომლებიც სტალინს ბაძავდნენ ჩაცმადახურვით. თავიდან ფეხებამდე სათაყვანებელი ბელადივით გამოწყობილი — არავინ მინახავს, მისი მწირი გარდებობის ზოგიერთი ატრიბუტით მოსარგებლე — საკმაოდ ბევრი. ერთნი მალაყელიანი ჩექმებით დაიარებოდნენ, მეორენი — ფრენჩისმაგვარი პიჯაკებით, უმეტესობა ქუდით იკმაყოფილებდა მსგავსების სურვილს — სამხედრო ყაიდაზე შეკერილი კარტუზით. ქუდი უფრო ხელმისაწვდომი იყო და ისედაც აუცილებელი; თავშიშველი მამაკაცი, ზაფხულობითაც კი, დიდი იშვიათობა გახლდათ მაშინ...

სწორედ ასეთი, ლურჯკარტუზიანი ძია ჰყიდა თონის პურს საბჭოს მოედნიდან კუკიისკენ მიმავალ გზაზე, არდონის ქურის ოთხ ნომერში. დახლში დგასო, მასზე ითქმოდა, რადგან დამჯდარი, ან რაიმეზე ჩამოყრდნობილი ერთხელაც არ მასსოვს. ლაპარაკითაც ცოტას ლაპარაკობდა, ხმას მხოლოდ მაშინ თუ ამოიღებდა, როცა რიგში დგომით დალოდი რომელიმე ბერიკაცი სვედიანად ამოიხრებდა, — აფსუს, ძია სოსოო... მათ დარდს, გამოხატულს სიტყვებით — „აბა-აბა“, „რა დრო იყო“, და „ეეჰ...“ სხვა ახსნას ვერ ვუძებნიდი და ვფიქრობდი, რომ ოდესღაც ვიღაც „ძია სოსოს“ თონის პურის იაფად და ურიგოდ გაყიდვა ხელენიფებოდა...

ეგრეთ ნოდებულ „ქარხნის პურთან“ შედარებით თონეში გამომცხვარი ლავაში ოცი კაპიკით ძვირი — ორმოცდაათი კაპიკი ანუ ათი შაური ღირდა. ლოდინი დიდხანს გვინევდა და ის საცხობის სარკმლიდან წარბებ და უღვავებდაფეცილული კაცის თავის გამოყოფით სრულდებოდა. შეძახილი — ორმოცი ამოვიდაო, თონიდან ორ-

მოცი ლავაშის ამოყრას და რიგში მდგომი ოცი-ოცდაათი კაცის დაკმაყოფილებას ნიშნავდა. სულზე ორი პურის გაცემა შეიძლებოდა, მეტის — არა...

ცხელ-ცხელებს მივარბენინებდი შინისკენ, ხელები რომ არ დამწვოდა, საგანგებოდ წამოღებულ გაზეთებს ვუფენდი ქვემოდან. სახლამდე მისასვლელად ხუთი წუთიც არ მჭირდებოდა — სირბილით გადავკვეთდი საბჭოს მოედანს, დავეშვებოდი რენინგერზე და კათოლიკურ ეკლესიასთან არმისული, გადავუხვევდი მარჯვნივ. ნინოშვილის ქუჩის ყველაზე მაღალი შენობის, ყოფილი ტექნიკუმის ბოლო, მესამე სართულზე ასულს ხელისგულები ისე მიხურდა ხოლმე, რომ შევების საგრძობად კარგა ხანს ვუბერავდი სულს ხან ერთს და ხან მეორეს.

დედა მომზადებული მხედებოდა. სამზარეულოში, მუშაობაგადაკრულ მაგიდაზე უკვე იდო მაცივრიდან ახლადგამოღებული, დაორთქლილი საკარაქე და მომცრო ზომის ლურჯხოლიანი თევში, რომელზეც წრიულად ეწყო „ორმანეთიანი ყველის“ სამკუთხა ნაჭრები. მე ლავაშის სქელი, აფუებული ნაწილი მიყვარდა, ის უფრო ადვილად იჭრებოდა ცალი მხრიდან. დავუსვამდი დანას, დავაშორიშორებდი დაბრანულ და დაუბრანავ გვერდებს ერთმანეთისგან, ქვედა ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა ორთქლი, დავაფენდი კარაქის სიფრიფანა, ბურბუ-

შელასავით მორკალულ ანათლებს და სანამ გადნობას დაიწყებდა, ყველს დავადებდი ზემოდან. სწრაფად ვირჯებოდი; როგორც კი ვამთავრებდი ჩემებური ცხელ-ცხელი ბუტერბროდის მომზადებას, მაშინვე ორივე ხელს ვავლებდი მას და ღონივრად ვკბენდი პირველ ლუკმას. სწრაფად უნდა მეჭამა, რადგან გამდნარი კარაქი გამოჟონავდა და წვეთები მაჯებზე ჩამომეცდებოდა...

არდონის ქურის პურის მაღაზია ადრეც ამოტივტივებულა მესხიერებაში; ორიათას რვა წლის ზაფხულის მინურულს, იმ დროს, როცა ქვეყანაში შემოჭრილი რუსული არმია გორს იყო გამოცდენილი და იგოეთთან იდგა. ჟურნალისტები მაგრად მუშაობდნენ, რისკავდნენ, სასიკვდილო საფრთხეს არ ეშვებოდნენ და ერთიმეორეზე შთამბეჭდავი კადრებით კინძავდნენ სიუჟეტებს. გვიჩვენებდნენ ტანკებს, რომლებიც ეჯახებოდნენ და ზედ უფლიდნენ ქართველი პოლიციელების „პიკაპებს“; ჯავშანმანქანებს — ეგრეთ ნოდებულ „ბეტეერებს“, გომში, არყის ქარხნის ირგვლივ რომ დაძრწოდნენ გამალებით; ტენტიან „ვილისებში“ მსხდომ, გამობრუყულ გენერლებს, მზის სათვალეები რომ ეკეთათ „არდანვის“ მიზნით; ჯარისკაცებს, სატივროთ მანქანებისკენ რომ ეზიდებოდნენ „ალაფს“ — დაბომბვას გადარჩენილი სახლების კედლებიდან გამოგლეჯილ ფანჯრების ჩარჩოებსა და რაფებს, ბინებში „მოპოვებულ“ აბაზანებს, ონკანების ნიჟარებსა და უნიტაზებს... ერთ-ერთი მოროდორი, ცხრამეტ-ოცი წლის თავგადაპარული ბიჭი, რომელსაც ჭუჭყით გაპოხილი გიმნასტურის ჯიბიდან ნაქურდალი ვერცხლის კოვზი მოუჩანდა — თითქოს მცნო, თითქოს ვიღაცას მივამსგავსე; ამეკიატა მისი ვარდნობა და შევუდექი ნიაღვრებს მესხიერებაში.

საითკენ აღარ ავიღე გეზი, რომელ ეპოქაში აღარ ვიმოგზაურე — ჯერ სტუდენტობის დროინდელი სამხედრო შეკრებები აღვიდგინე, მერე ცნობილი საფეხბურთო არეულობა და წესრიგის დასაცავად გამოყვანილი „მერვე ლეგიონი“, მერე კომუნდანტის საათი ოთხმოცდაცხრა წლის აპრილში და მწვანეაფხუტიანი პატრულეები... ვერსად ვერ მივაგენი და ეს ძიება გამიგრძელდა მანამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში ხტუნვა-ხტუნვით მიმავალ, მკერდზე ლავაშშიხუტებულ ბიჭუნას არ გადავეყარე. უმაღლესი ხარისხის მონაკვეთი დამიდა თვალწინ, როცა პურის რიგში მიწვედა დგომა... იმ ადამიანებს შორის, ვისაც ხშირად ვხედავდი მაღაზიაში, რუსი ჯარისკაციც ერია — ახლომდებარე სამხედრო ნაწილიდან გამოპარული, ან მორიგი ოფიცრის ნებართვით გამოშვებული რიგითი, რომელიც გვერდულად შემოიძურნებოდა ხოლმე კარში, აიტუზებოდა დახლთან ახლოს და ფრჩხილების კენკით, წარბებსქვემოდას იხედებოდა ხან ჩვენსკენ, ხან გამყიდველისკენ. ყოველთვის ურიგოდ ვუშვებდით, ისეც მომხდარა, რომ კარტუზიან ძიას უფულოდ გაუტანებია პური. დიდსაც და პატარასაც დაახლოებით ერთნაირი გრძობა გვეუფლებოდა მისი ყურებისას, ისეთი, როგორსაც დუქნის სამზარეულოს შემოჩვეული ძაღლი აღძრავს — ძვლის მოლოდინში მოუსვენრად აცმუკებული, ძუნძგლიანი, უპატრონო ფინია...

ამერიკული კევი

შპზ ბაზარზე საღვთი რეზინის გამოჩენას წინ უძღოდა დიდი ამერიკული გამოფენა მუშთაიდის ბაღში, სადაც საგანგებოდ აგებულ უზარმაზარ პავილიონში შეგედლო გენახა და მეტიც, ხელით შეხებოდი ლეგენდარულ ავტომობილს, სახელად „კადილაკს“. მე ვერც ერთს შევძლებდი და ვერც მეორეს, რადგან მამაჩემი არც მაღალი რანგის პარტიული მუშაკი იყო და არც დიდი დაწესებულების დირექტორი. გამოფენის მოსანვევებს კი მხოლოდ „სელმდვანელ“ პირებს აძლევდნენ და მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება, წაეყვანათ თავიანთი შვილები გემივით დიდი ავტომობილისა და სხვა არაჩვეულებრივი ექსპონატების, მათ შორის, ბურთულიანი ავტოკალმების სანახავად. რატომ ერქვა უახლეს სანერ მოწყობილობას „ბურთულიანი“, ვერ ვიხსენებ; ალბათ იმიტომ, რომ მისი წვერი, რომლითაც ასოები უნდა გამოეყვანა, მიკროსკოპული ბურთულის მსგავსი იყო და კი არ დასრიალებდა — დაგორავდა ქალაქზე. გამოფენის მომწყობი მხიარული ამერიკელები ასაჩუქრებდნენ კიდევ დამთვალეიერებლებს. სამკერდე ნიშნებთან ერთად, რომლებზეც ვარსკვლავებიან ზოლებიანი და ნითელი დროშები იყო გამოსახული, ვერცხლისფერ ქალაქში გახვეულ პატარა, სურნელოვან ფირფიტებსაც არიგებდნენ, განკუთვნილებს — დასალეჭად...

კევის მანამდეც ვლეჭავდით. ისიც სურნელოვანი იყო, მასაც ჰქონდა გემო. მოიპოვებოდა ბორჯომის ხეობაში, მზადდებოდა ფიჭვის ტანზე ჩამოღვნილი წებოვანი მასისგან და იყიდებოდა საკურორტო ქალაქების ბაზრებში. სინოტივისა და დრეკადობის შესანარჩუნებლად ჩვენური კევიების მოვარდინფრო, ასანთის კოლოფისხელა ნაჭრებს წყლიან ქილაში ათავსებდნენ გამყიდველები...

ლოტკინზე — ბომბის დასახლებასა და ოპერის უკან მდებარე ძველ კვარტალში მალულად რომ დაიწყეს ამერიკული საღვთი რეზინის გაყიდვა, ეგრეთ ნოდებული „დათბობის ხანა“ დასასრულს უახლოვდებოდა და ყველაფერი, რაც „რკინის ფარდის“ მიღმა იქმნებოდა, კვლავ არალეგალურ მდგომარეობაში, იატაკქვეშეთში გადადიოდა. შავ ბაზარზე საღვთი რეზინა ერთადერთი დასახელების — „Wrigley's“ პროდუქციით გახლდათ წარმოდგენილი. მალულად მოვაჭრეები, სავარაუდოდ, შვილვის პორტებიდან მარავდებოდნენ, სადაც თავთავიანთი გემებიდან დატენილი ჩანთებით გადმოსულ, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ზღვაოსან ბიჭებს საბჭოთა მანეთები სჭირდებოდათ მძიმე სპირ-

დასასრული მე-10 გვერდზე



ჯარჯი ფხოველი

და სიტყვასაც არაფერი აღარ აკვირვებს!

ეს დილა სიზმრის გაგრძელებაა: ღამის შავი ნაფხურები ტანზე ატყვია ნაკბენებით...

ეს არის შენი ფეხმოსაკიდი: ეს ნაკბენებიც შენს გულს აღარ გაუკვირდება...

ვერც ბებუთის გაეღვება, ვერც ხანჯრის კენესა ვერ გამოიყვანს დედამინას გრძელი ძილიდან...

ეხლა მიწას ბარისპირი ვერ გააკვირვებს, ვერ გააკვირვებს ცას არნივის გადანივლება... სიტყვების გარდა აღარაფერი აქ შენს გულსაც აღარ აკვირვებს!

დედაენაზე უფრო მეტად აქ შენს გულსაც არაფერი აღარ აკვირვებს!

და გაკვირვებულ გულის შემდეგ თვით სიტყვასაც არაფერი აღარ აკვირვებს!

მიძღვნი

დღისით ყორანი, ხოლო ღამე ბუ: მათმა ქვითინმა გული დახერხა... სიცოცხლის ბოლოს უკვდავ წამებულს დაემსგავსებ: მისი სახე ხარ

და მისი ხატი: დარდი საყორნე, ცრემლი საბუე და სატილო... და საბოლოო კენესას აყოვნებ ჩემს ბებერ გულში, მიწაზე მტრიანო!

სივდება გული... მზის წამწამები მითვლიან ავდარს: ჯავრის ნახევარს... ვიცი: სულ ბოლოს მეც იმ წამებულს დავეფერები: მისი სახე ვარ!..

ჩემი ყორანი

და ჩემი ყორნის პირშივე სიტყვა, შუალამის საჩუქარივით შავეთიდან ამოშვერილი...

და, შიგადაშიგ, ღამის ცრემლივით დაწვეთებული სასვენნიშნები...

და ღრუბლებიდან გამოცრილი შუალამის ამოხაველება...

და ყორნის ძახილს აბოლოებს ცრემლის წინწკალი, როგორც ცაში დარჭობილი ვარსკვლავურსმანი...

პოეტს

შენმა ლექსებმა შიგ გულში დამჭრეს!..

და საარაგვოს გრძნეული მთები გულს სტერილური ღრუბლით მიხვევენ: ღრუბელს წვეთები ურევია, ამოკრებილი ვაჟა-ფშაველას შედევრებიდან... მიხა ხელაშვილის ორნახადი სტრიქონებიდან...

და ურევია შიგ ფოლკლორის ექიმბაშების ეკალ-სიტყვები: გულებიდან მოსხლეტილები...

გულდაჭრილს მიკვირს, რამ გათქმევინა ეს ამოხერხვა ავაზაკური: „პოი, მდადეო, მდადეო, გულზე რა ცეცხლი მამდეო, ეს ჩემი თავი, ბეჩავი, შენ ძუძუებში ჩავდე!“

ალაღად გეტყვი: პოეზიის ოხერნახმლევი, ვინმე ცალთვალა გენიოსის მონათლული, სიტყვის ყაჩაღი... შენმა ლექსებმა შიგ გულში დამჭრეს!

ცრემლი

გვემული გულის მონანერია...

და ის სანამ გრძელ გზას გაივლის: გულიდან თვალის ღვთიურ სარკემდე...

თვალეების მერე უფრო გრძელი გზა ელოდება, სანამ მიწას დაეცემა: შემზარავ ადგილს, საფლავის ადგილს, ლალატის ადგილს, მკვლელობის ადგილს, დამარცხების პირშავ ადგილს: სიძულვილის უდაბურ მხარეს...

და მიწაზე დაცემის შემდეგ უფრო გრძელი გზა ელოდება, სანამ სამოთხის საცრემლეში აირეკლება, სანამ საღვთო შუქს გამოასხივებს, სანამ კიდევ ერთხელ დაბრუნდება გვემულ გულში და გულიდან თვალის სარკეში...

და კვლავ ისე: ყველაფერი ისევ თავიდან... და უსასრულოდ... და უსასრულოდ...

ქვიშა

სამყაროს დასასრულის ქვიშა: ჩემი ლექსის მრავალწერტილი...

სამყაროს შემდეგ ლექსები რჩება... და ქარების აურა რჩება... და სამყაროს ჩრდილი რჩება, მზის ფოთლებზე გადახატული... მზის უკვდავი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, არ დაგვივიწყებს...

სამყარო რო იღუპება, ეს ლეგენდა მე და შენ ვიცი... და იცოდა იმ პოეტმაც, შოთა რომ ერქვა... და იმის შვილიშვილიშვილმაც კარგად იცოდა, ხარის ყანს რო სცლიდა ოხერი... თავის ფსევდონიმში — რომ გაარჭო შეინდის სახრესავით... ისიც მრავალწერტილისთვის იყენებდა სამყაროს ქვიშას...

შენს თვალნიც კვდება სამყარო მშიერი... და შენ რეიტინგებს ხაზავ ქვიშაზე, იმ ქვიშაზე, სამყაროს სიკვდილის მომსწრე პოეტი სტრიქონებს რო აბოლოებს ქვიშის მრავალმრავალმრავალწერტილით...

ყოფის პრიმიტივი

და ცრემლების, და სიტყვების, და სისხლის გემო:

ერთსამებაა... ვერ შეცვლიან, ბევრიც რო გვემონ...

მოკვდავის ხვედრი ასეთია: უპყრია დემონს!

და ცრემლების, და სიტყვების, და სისხლის გემო...

ამ წრეზე უნდა იტრიალო, სტრიქონო ჩემო!

ორი პრიმიტივი

1. საღამო

გადააშავა მიდამო თალხმა, ღამემ არ იცის, რაც შენ განვალებს... გულში გაისმის ქვითინი, ცალხმა: სიტყვა დუმილის ტბებში გაცვალე...

აქ ერთადერთი ფოთოლიც ჩახმა, კარგახსნილია მწუხრის საძვალე... გადააშავა მიდამო თალხმა, მოზავადა დარდი, შენ რომ განვალებს...

2. და მთები

აჰა: ეს მთებიც წარსულს გასცქერენ, ჭვარტლად ედება ჯანლი ცას ხშირი... გულში, შენც ძველი დარდი გაძგერებს, სავსე ხარ: სავსე ძველი ნახშირით...

დასალახია დროის ჯებირი. ნისლით იმღვრევა მთების სათავე: კვნესენ ლექსდამმრალ პოეტებივით და ძველ ტკივილებს ველარ ხატავენ!

აფხაზღვეთი

რალაც დაკარგე სისხლის წვეთივით: წლების გმინვა და წლების გნიასი... ზღვა გენანება და აფხაზღვეთი და დარდი რენე კალანდიასი...

თითქოს გაფრინდა გული ჩიტვივით: იგრძენ, იგვემე და გაისენე... საქართველოში ქვაც კი იტირებს, საკუთარ ფესვებს რომ გაისხენებს!

მოდის, მოხვივის და მორიალობს ეს დრო, პირშავი და გაცვეთილი, ჯიბით ატარებს გველს და მორიელს: მისი დღეები შხამს განვეთებენ!

ჩათავდა, ჩადგა ჩქარი ჩქერები; ის შავი ცეცხლი ჩაქრა ადრევე... ეხლა ხომ გულსაც ვერ დააჯერებ, შხამის ტბორებში რომ ხარ ნათრევი...

მწარე წარაფის მიწას წაგართმევს ეს მთვარე: ყორნის ღამის მენყვილე... გაეტირება სული წარმართი გულებს, აფხაზღვეთს გადახვენილებს!

სხვისი ნაქვის ხა

„როგორ შეცვლილხარ.
ველარც გიცანი.“
(მეგობრის ჩანაწერებიდან)

„გაზაფხულია,
ნაძვის ხეზე უნდა მოგიყვე.“
(ჩემი ჩანაწერებიდან)

გამარჯობა, ე.
რალაცნაირი ხარ. სხვანაირი.
კინაღამ ვერ გიცანი.
საფეთქლებზე ფქვილი ვინ შეგაყარა?
ეგ გაბანჯგვლული წარბები თვალებს გიფარავს და
რანაირად დამინახავ?
ჩემი არარსებული მეზობლის ეზოში გამოზრდილი გოჭის ჩიჩით
მოქონილი ტუჩებით უნდა მატოცო?
წვერი წითლად ლატო შეიღებე?
ხელები რო გიკანკალებს?
აუ, რანაირად დაბრეცილხარ, რა.
გატეხილი სამფეხასავით ყირაობ.
არადა, მთელი წელი ენამოჩლექილი გელოდებოდი.
მთელი წელი შენ და თოვლს გელოდებოდი.
შენ კიდევ მთელი წელი მატყუებდი და
მე კიდევ მთელი წელი ისევ გელოდებოდი და
შენთან როდისლა მეძინა?
მაგ მოკაკუული თითებით როგორ ამანყვიტე პერანგის ლილები?
ჰოდა, მოდი ახლა და დამიკერე.
მე ზურგმექცევით დაგვჯდები.
ძაფსაც მე გაგიყრი.
ნემსში, ხო.
ისე, ძალიანაც კარგი, რომ შეიცვალე.
ვერ დაინახავ, როგორ ვიცვლი.
შენს საყვარელ მწვანე კაბას ნაგავსაყრელზე როგორ ვაგდებ
და ტიტლიკანა ვდგავარ.
ოღონდ ჩემი სხეული ისეთი აღარაა, როგორც მაშინ,
ის მინდორი რომ მიხდებოდა.
ჰოდა, ძალიანაც კარგი-მეთქი, რომ შეიცვალე.
ვერც იმას დაინახავ, ამ ნაგავსაყრელიდან
რიგ-რიგობით როგორ ვირგებ
სხვის გამონაცვალ ცხოვრებას და როგორ ვიკაზმები.
ახლა უკვე მინდა, რომ დამინახო.
ახლა უკვე მინდა, რომ დაგაკლდე.
ნახე, ნაძვის ხის გატეხილი სათამაშოები
თმაში როგორ მიბრჭყვიანალებს?!.
მიხდება.
ნამდვილი პრინცესა ვარ.
ნაგავსაყრელების, ხო.

მოკლედ, მაგ გაბანჯგვლული წარბებიდან ვერაფრით გამოგახედე.
მივდივარ.
აი ასეთი: დაუბანელი, გაჩეჩილი, ნაძვისხემოურთავი.
გოზინაყდაუკარებელი ხელებით ვკრავ ბარგს და მივდივარ.
შენ სამშობლოს მიმიხედე, რა.
ნაგავსაყრელზე დაგტოვე.
აი, დამცირებასა და სინანულს შორის გადაქექე.
წითელი ჰომიდა უსვია.
მე ნავუსვი.
ძალიან უფერული ტუჩები ჰქონდა და იმიტო.
სხვაში არ აგერიოს. ბევრია ეგეთი.
ოღონდ, არ აკოცო. შემპირდი.
ოჯახს, მეგობრებს, სამეზობლოს,
ჩემს სამსახურსაც შენ გაბარებ.
მანც, ყოველი შემთხვევისთვის.
რა იცი, რა ხდება.
დანაკარგების და პოვნების ორმო ამოჩიქნე.
იქ ნახავ.
სახლის გამოგვა არ დაგავინყდეს ხოლმე.
მიწისპირია და მტვერი იცის.

მოკლედ, მივდივარ.
სად?
სადმე, სადაც თოვლი იქნება.
იქნება ჩემი ნაგავი სადმე დავცალო და ვერავინ დაინახოს.
შენ კი შეიცვალე, მაგრამ მერე მოდი და იმ გოჭის ჩიჩია მაჭამე,
რომელიღაცა მეზობელს რომ არ ჰყოლია.
ჯანდაბას მოქონილი პირი.
შენი დაბრეცვა.
გატეხილი სამფეხაც.
ნაძვისხემოურთავი წელიც.

ისე, უკვე თორმეტია და მეძინება.
პრინცესები ხო ადრე იძინებენ.
ნახვამდის, ე.
რა ცუდი სუნია.
თოვლი ყარს.
თოვლი.

პატრონდაკარგულთათვის

სულ მგონია, ფეხი აიდგი და ნახვედი.
ცათამბჯენების ქვევიდან ჯერ თავად შეტორტმანდი,
მერე ისინი შეატორტმანე.
ტანზე გადაგებული ასფალტი ჯერ თავად ამონგრეი,
მერე იმან ამოგწელა ნაწილ-ნაწილ.



კატო ჯავახიშვილი

ნაწილი დაღმართზე დაგორდი,
ნაწილი გაჭირვებით ამოიგრაგნე.
მერე ჭიალუასავით ტანნაგრძელეულმა
პატრონდაკარგული სახლები ილღიაში ამოიჩარე,
ნაწყენმა გადმოხედე და ნახვედი.
მე საკუთარ ნანგრევებში ვიდექი და შენთვის როგორ მოვიცლიდი.
მე საკუთარი ომი მქონდა და შენ როგორ გამოგედევნებოდი.
მე საკუთარი „მე“ ვერ მეპოვნა, შენ როგორღა გიპოვიდი.
მე შენ ასეთს არც გიცნობდი და აბა, ან როგორ დაგკარგავდი.
„რა გულმაგინყი ვარ“ — ვფიქრობდი და შენს ნამოსახლარზე ასფალტს ვაგებდი.
„რა გულმაგინყი ხარ“ — ამბობდი და ჩემი კედლის აგურს ფქვილივით ცრიდი.
„გულ მაგინყები“ — სჯეროდათ და საყოველთაოდ დაუძღურებულთათვის
სიკვდილს აშენებდნენ.
მერე საკუთარი ნებით გადანვებოდნენ კედლებამოყვანილ საფლავებში
და სიცოცხლეს თამაშობდნენ.
მერე მკვდრებიც და ცოცხლებიც შენს ნამოსახლარს
იმ პატრონდაკარგული სახლების მონარჩენით ვავსებდით,
გზაზე შენ რომ დაგცვივდა.
ცალი თვალთ გხედავდი, როგორ მიიკლაკნებოდი
შავ-თეთრ ფოტოებზე შემორჩენილ ამბებში.
ამბებში, ჩვენ რომ უკვე ნაამბარია დაგვხვდა და
შენ კიდევ ასფალტგადაგებულსა და გაფერადებულს
ზურგით მიგქონდა.
ხანდახან გულიც მწყდებოდა.
არადა, გადაგხატეთ და გადმოგხატეთ.
გაგაფერადეთ და ამოგაშენეთ.
ამოგაშენეთ და მოგაშენეთ.
შენ კიდევ, საკუთარ ტანში ვერდატეულმა
ფეხი აიდგი და ნახვედი.
ხელში შენი გრძელი კუდის ბოლო კბილებით მეჭირა.
საკუთარს არა, შენს ნანგრევებს ვეძებდი და
გზად სულ პლასტილინის კედლებს ვხვდებოდი.
საკუთარ არა, შენს ქუჩებს მივუყვებოდი და
ერთ ნაცნობსაც ვერ ვპოულობდი.
„რა გულმაგინყი ვარ“ — ვფიქრობდი და შენს ნამოსახლარზე ასფალტს ვთხრიდი.
„რა გულმაგინყი ხარ“ — ამბობდი და შავ-თეთრ ფოტოებზე ბაცდებოდი.
ხანდახან მაგრად მოგკუშავდი პირს, კბილებით გამოგქაჩავდი,
მაგრამ ვერა და ვერ გიბრუნებდი.
ერთხელაც, შენი კული
ძველი ხალათის ქამარივით შემრჩა კბილებში.
გადავუჭირე და გადმოვუჭირე ქუჩებს.
მეგონა, მოხვიდოდი და საკუთარ თავს ამოიშენებდი.
შენ კი, ნაწილი დაღმართზე დაგორდი,
ნაწილი გაჭირვებით ამოიგრაგნე,
მერე ფეხი აიდგი და ნახვედი —
ჩემო ქალაქო.

ყანა

მე უფრო მეტადაც ვხმაურობ, როდესაც გგონია ჩუმად ვარ.
საკუთარ თავშივე ვბრუნდები, როდესაც გგონია — გაცილებ.
და მე არ ვიცნობდი არავის, არც ახლა. მერეც და ჩემამდეც.
მე უფრო მეტადაც ვსლუკუნებ, როდესაც ჰგონიათ სიცხილი.

ნაწყვეტი. აქ თვალი დახარე. აქ უნდა იძინო.
დილაზე. დალლაა ისეთი. ვერაფრით ერევი.
ისუნთქე. ჭა არის გაღმა და შავი და უძირო
დღეების მორევი.

და ტანში სიტყვები შიგნიდან. ეს იქნებ განგაში.
და თითქოს შიგნიდან ირღვევი. ეს თითქოს სიღრმემდე.
და აი, ეს ოთახი, და აი, ეს კედელი. — ამლაშებ.
თითქოს შორიასხლოს იდგეს გზა, — ვერაფრით გიძლებდეს.

გათვალა ასეთი: სიტყვები. ერთად. ან ნაღმა. ან უკულმა.
საიდან საითკენ გაათრევე, იქიდან იწყება მანძილი.
და თავი ღამით ტყვესავით საკნიდან ჩუმად გამოწყავს
და რკინის უხემ დარაბებს წამნამით ფრთხილად ვამძიმებ.

პეპლები. მუცლიდან გაღვიძებს ფრთხილი პეპლების.
ქარია. ან უნდა მხედავდე. ან — უნდა გახსოვდე.
სათქმელი. და თითქოს სიტყვები ხმაურში გეპნევა.
გგონია — მახეა.

ეს იქნებ ხმაური შიგნიდან. ეს თითქოს ზანზარებ.
ეს იქნებ ტუჩების მოკუშვა. და თვალის გაქცევა.
და უცებ ყანაა — ყელიდან მიწამდე გაზრდილი
და ხორბლის მაგივრად საცერში ცხოვრება იცრება.

დილით მარას მალევიძარას ზარი ისევ გამოეპარა. ძილის წინ თვალეების ახვევი-სას ერთი წამითაც არ დაუშვია, რომ მეორე დღეს უმუშევარი გაიღვიძებდა და განცხადებების გაზეთში კვლავ მოუწევდა პომადით საინტერესო ვაკანსიების მონიშვნა. დედა დიდხანს ელოდა საწოლთან მარას თვალეების გახელებას. ცალი ხელი წელზე მოეხვია, მეორეთი დოინჯი შემოეყარა და ფერდაკარგულ ტუჩებს მონდომებით უკარგავდა ყავის შერჩენილ გემოს.

— მარა, მომისმინე, პატარა ქალაქებში მოკლე გზებია, — დედამ ტერფით დაანყვილა მარას დათვისებულ რუსულს და თაროზე ჩამწკრივებულ ფაიფურის თოჯინებს მონყალე მზერა მოავლო.

— რა მოკლე გზები? — ჯერ კიდევ ძილურანში იყო მარა, მაგრამ მალევიძარას დანახვისთანავე გაახსენდა მესამე და უკანასკნელი გაფრთხილება ატელიეს მეპატრონისგან და სასწრაფო კვეთილმა თავი ბალიშში ჩარგო.

— მერე და ის, რომ იქ სამსახურში დროულად მისასვლელად მზის ამოსვლამდე არაფერი დგება და ჩვესავით ადრე არ ბერდებიან. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ატელიეს იმ გაბლენილ მეპატრონეს, მანეკენი მაგას თოჯინა ხომ არ ჰქონია?! შენ დილის ძილი გჭირდება! — თავი კედლისკენ მიაბრუნა, სარკეში ჩაიხედა და თითებით სცადა თვალეებთან განოლილი ნაოჭების გასწორება.

— გეყოფა, დე! — მარას ყოველთვის აღიზიანებდა დედის გადამეტებული მზრუნველობა ჩამუქებულ უპეებსა და ბზინვარებადაკარგულ თმაზე.

— შენ პატარა, ლამაზ ქალაქში უნდა ცხოვრობდე. მისმენ, მარა? უძილობისგან ფერი არ უნდა გეკარგებოდეს და ვარდისფერ ლოყაზე ბალიშის ნაკეცი უნდა გეტყობოდეს, როდესაც საუზმის მშვიდად მიირთმევ, — მარამ თითქმის ზეპირად იცოდა დედის საუკეთესო გამოსვლების ტექსტები.

— ისევ იგივეს იმეორებ! — ყურებზე ხელი აიფარა და თვალეები დახუჭა.

— ჰო, ვიმეორებ, ადრე დაგაბერებს დიდი ქალაქი, მარა! — ხმას აუწია დედამ.

— დე, იქნებ მინდა, ადრე დავებერდე, — ტუჩის კუთხეები ქვემოთ ჩამოწია მარამ, თვალეები მოისაწყლა და ბებრული მზერით გახედა დედას.

— ამას ახლა ამბობ, მარა! თანაც შენ კითხვა არ გიყვარს, გულს გაგინვრილებს ეს გრძელი, გაუთავებელი გზები, — მარას საწოლზე გადაფენილი კაბა მიიზომა და ჩახსნილი ღილები შუუკრა.

— სხვა რამითაც შეიძლება გზებზე თავის შექცევა, მაგალითად თვალის დაუხამხამებლად მიაშტერდე მოპირდაპირე სავარძელზე მჯდომს, — თვალეები დააჭყიტა მარამ.

— მარა, მომისმინე, სამსახურს იქაც იშოვი. ყველას ჰგონია, მხოლოდ ლამის ცხოვრებით განსხვავდება დიდი და პატარა ქალაქები ერთმანეთისგან. წადი და იქ ნახე დილა როგორია, ცხოვრებას თავიდან შეგაყვარებს! — ფანჯარა მიხურა დედამ და მზის ამოსვლამდე აგუგუნებულ ქალაქს ზურგი შეაქცია.

— ვევე... ბავარია... კოლმარი... — მარა აღარ უსმენდა დედას, აღმოსავლეთ კედელზე გაკრულ რუკას მიშტერებოდა და ბუტბუტით იმეორებდა ქალაქების სახელებს. თითქოს ტკბილხმოვნებით არჩევდა ადგილს, სადაც ახალ ცხოვრებას დაიწყებდა.

— სენტ-ტიტინი, ბრიუე, ვენლო! — მიეშველა დედა, — ოღონდ წადი ამ ქალაქიდან, ჩემო გოგო, წადი და უკან აღარ მოიხედო! — თვალეებზე აკოცა დედამ მარას, ხალათი საწოლზე გადაუგდო და სამზარეულოსკენ უხმო.

მეორე დღეს რკინიგზის ბაქანზე მარა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, იყიდებოდა თუ არა პატარა ქალაქში ჯანჯაფილის ხრამუნა ორცხობილები, დედა რომ ახვედრებდა ყოველ დილით საუზმეზე.

მარა ქალაქის ყველაზე მოკლე ქუჩაზე დაბინავდა და წითელი ველოსიპედის სადგომი მზისგან გახუხუხებულ ცისფერ კედელთან მოიწყო — ზუსტად იმ ადგილას, სადაც საწვიმარ მილს ტეკომა აპყოლოდა სახურავამდე. მარა ბინის ქირას სულ ცოტას ამატებდა იმისთვის, რომ ფრანგული აივნების რიკულებსა და მალა

ფანჯრებს შორის ჩამწკრივებულ მცენარეებს მზრუნველი ხელი არ მოჰკლებოდა. სახლის მეპატრონის უღალთმიანი ვაჟიც ყოველ დილით თუნუქის გრძელცხვირა სარწყავით აპურებდა წყალს მოყვავილე ბაღებს და კისერნაგრძელებული მთელი მონდომებით იჭყიტებოდა ფანჯარაში — იქნებ როგორმე ახალგაღვიძებული, განენილი მარასთვის შეეველო თვალი. მარას ყურებით თუკი ზედმეტად გაერთობოდა, ქოთნის ლამბაქიდან გადმოსული წყლის ნაკადი ფეხებშია გაუვლიდა, დაღმართზე დაუშვებოდა და ბიჭიც მორცხვად, თავისდაუნებურად დაიხედავდა ხოლმე შარვლის უბეზე. კვირაობით კი მეზაღე წყლის დასხმას არ აკმარებდა ყვავილებს, დროის გასანელად ქოთნებში მინას მონდომებით აფხვიერებდა და ტახტის თავზე ფეხებშემოწყობილი მარას ხილვით ტკბე-

რუსუდან რუხაძე

ყვითელი წვიმის კავატიანა



ბოდა. მარა კი ამ დროს აინუნშიც არ აგდებდა ბიჭს და საგანგებოდ უქმე დღისთვის გამოცხვარ ჯანჯაფილის ხრამუნებს მიირთმევდა. ხოლო როდესაც ეკრანზე მისი საყვარელი მსახიობი გამოჩნდებოდა კომედიური სერიალიდან, გულიანად კისკისებდა და ხალათის სახელოებზე მიმხმარ ცოცხლ თეთრად აყვავებული ფრჩხილებით ფხეკდა.

თლილი თითების, თხელი წვივების და ფერმკრთალი სახის მიუხედავად მარას არასოდეს ჰქონია დახვეწილი მანერები და მის უკიდურესად ურბანულ გარეგნობას ხშირად შეუყვანია შეცდომანი ხერხემლის არისტოკრატიულად დამჭერი მამაკაცები. ასეთები, როგორც წესი, დიდხანს არ რჩებოდნენ მარასთან. დილით ტირილისგან თვალედასიებულითვის კი დედას მერამდენჯერ შეუხსენებია საკუთარი თავისა და სხეულის ფლობის მარტივი წესები: „მარა, სადილობისას იდაყვებით ნუ ეყრდნობი მაგიდას“, „მარა, აუცილებელი არ არის, მთელი სხეულით მიბრუნდე, როდესაც უცნობი მამაკაცი რამეს გეკითხება“, „მარა, ფეხი ფეხზე კობხად გადაიდე, როდესაც სავარძელში ჯდები“. მარა კი კიტრის ნაჭრებით დაბრმავებულ დედას მიკბულ-მოკბულად უხსნიდა, რომ ფეხების გადაჯვარედინებისას რატომღაც თავბრუ ეხვეოდა და წონასწორობას კარგავდა. „მამინ დახსომე, როცა დაჯდები შენი ზამბახი უნდა შეიგრძნო, მთელი სიმძიმით დაეყრდნო და ხერხემალიც თავისთავად გასწორდება“, — დედას ყველაფერზე ჰქონდა პასუხი, მისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობდა. „კედელთან ვერავინ მიმაყენებს!“ — ხშირად უთქვამს ამყად და ამ სიტყვების პირდაპირ გამგები მომღიმარი ქმრისთვის უარყოფითი მზერა მიუწვდენია. დაჯდომისას ბრტყელი ტერფების განზე დადგმას კი მარასთვის ერთი მარტივი მიზეზი ჰქონდა — მარტივი ასახსნელად, თორემ გასამხელად ერთობ უხერხული. ფეხების გადაჯვარედინება ერთ საამო წერტილს — ვთქვათ ბუტკო, თუკი ზამბახია — სრულიად უმიზეზოდ უღვიძებდა და

სხეულის ყველა ნაწილში გრძნობდა ვნების მოლივლივე ტალღებს. განმარტობებისთვის კი ყოველთვის არც დრო იყო და არც საკადრისი ადგილი.

ამ სახლში დაბინავებისთანავე მარამ მალევე აღმოაჩინა, რომ პირველი სართულის მობინადრეები სულ სხვა ზნისა და ყოფის ხალხია. ამ ადამიანებს განსაკუთრებით უყვართ სიცოცხლე და ქუჩის ხმაური, ხოლო გამველი მანქანის დაშვებული საბურავი და სამზარეულოში დაზიანებული ონკანის მილი საკუთარ საქმედ თანაბრად მიაჩნიათ. აბა, სად სამი საფეხურის ავლა და სად დიდ ქალაქში მერვე სართულზე ცხოვრება, ერთგვარ ასკეტობასა და უმიზნო განდევილობას რომ წააგავს. მარას კი სხვებზე მეტად უყვარს სიცოცხლე და მინის სურნელი. განსაკუთრებული მიზეზი არც იმისთვის

სტირდებია, რომ თავი მალა ასნიოს

თვალეები დახუჭოს და ბედნიერი ღიმილით საკუთარ თავს მოეხეოს. ამიტომაც სძულდა მარას მერვე სართულის მარტოობა და მიაჩნია, რომ ქალს ყოველთვის სჭირდება მოთვალთავალე, თუნდაც წარმოსახვითი, შხაპითა და ზურმუხტისფერი ვენურით მეტად რომ დატკბეს. ახლა კი მარას ყოველდღიურად უჩქარებს გულს იმის წარმოდგენა, რომ როგორც იქნა მიაგნო დიდებულ ადგილს დედამინაზე, სადაც ქალაქი ცხოვრობს ადამიანებით და არა პირიქით, როგორც მისგან სამუდამოდ მიტოვებულ მეგაპოლისში. ახალ ბინაში ფარდას ყოველთვის გადაწულს ტოვებს, აბაზანის კარს კი — ოდნავ შეღებულს და ასე თამაშობს დაუღალავად.

რაც არ ეთმობა დიდ ქალაქში, ხიდის გადაღმა მცხოვრები ბიჭია, წერილჩარჩოიანი სათვალთა და მოგრძო თმით. „რას იტყვი, ჰო მიხდება? შევში ქალაქს?“ — ჰკითხავდა ხოლმე პაემანზე დათქმულ დროზე ადრე მისული მარა და ახალი კაბის კალთას პატარა გოგოსავით განზე განეედა. „უნებისყოფობაზე მეტად არაფერი უხდება შენს თეძოებს,“ — ეტყოდა ახლომხედველი ბიჭი და შილიფად აჭრილი ქვედაბოლოს ქვეშ ხელისგულს ააყოლივდა. იმ საღამოების ეშხით, პატარა ქალაქში გადმოზარელებული მარა ვახშმად მიირთმევს ჭვავის პურს, მალაზიიდან მოპარულ ყველს და დარიჩინის ჩაის. მერე დანიური ყველის ლურჯი ობის გემოსა და სურნელს ხელზე შეიჩინებს, საწოლში შიმველი ნეებს, დღამდე მარტილად ცერა თითს ავემოვნებს და მონატრული ბიჭის სურნელს იპარავს შორიდან.

ყოველ დილით მარა მორინგას ლოსონით იტენიანებს სხეულს და ჭორფლიან სახეს, ველოსიპედის სახელურებს ლურჯი ხავერდის ტილოთი წმენდს და სამსახურისკენ გზას ნასაუზმევი მიუყვება. იქამდე ხეივანს გაივლის, მზით აჭრელებულ გზაზე თვალეებს ხუჭავს, თავს მალა წევს და სანამ სიჩქარე ეყოფა, ველოსიპედის

პედლებზე მიბჯენილ ბრტყელ ტერფებს ასვენებს. სახეზე მოთამაშე მუქ-წრდილები-სგან სასიამოვნო ჟრუნტელს გრძნობს ველოსიპედის სკამის ვინრო კუთხესთან და საკუთარი ცხოვრების ამოუცნობ თავგადასავალზე ფიქრი აბედნიერებს.

ყვითელი წვიმების სეზონზე განსაკუთრებული ხალხი სტუმრობს ქალაქს — უმეტესობა გადამფრენი ჩიტების და ნაძვის ყვავილობის გამო. არიან ისეთებიც, ვინც ყოველწლიურად ერთი და იმავე ოთახს ჯავშნის შეჩვეული ხედით და მომსახურე პერსონალსაც სახელებით იცნობს. მაგალითად, ის მოხუცი დირიჟორი, წიგნით რომ კითხულობს პარტიტურას და ნკიპურტს ურტყამს ფურცელს ახალი აღმოჩენის აღსანიშნად; აი, ისიც მეოთხედაა წელს, ბავშვიან ქალს რომ ეძახის კლერი. სინამდვილეში კი მარტოხელაა, რომელიც მუდმივად საკუთარ ბავშვობაზე ლაპარაკობს; წელიწადს არ აცდენს ის წყვილიც განუყრელი პატარა ხალიჩით, რომელზეც მონაცვლებით ხან ქალი ვარჯიშობს იოგას, ხან კაცი ემხობა და საკუთარ ღმერთს ასვენებს. ასეთი სტუმრების ცნობა ადვილია, მარა კი განსხვავებულ სტუმარს ელის. ხანდახან ისინიც ჩამოდიანო, კლერმა.

სასტუმროსთან მისვლისთანავე მარა ველოსიპედს სასადილოს გვერდით აყენებს, შემხვედრებს ხელს უწევს და სხვადასხვა ენაზე მხიარულად ესაუბრება. მერე ჩქარი ნაბიჯით მესამე სართულზე ადის, დერეფნის ბოლო ოთახის კარს აღებს და გამარჯობის მაგივრად ქალის სახელს ამბობს — „კლერ!“ კლერი ყოველთვის ასწრებს მარას სამსახურში მისვლას, მეორე წელია ერთ ცვლაში არიან და ერთ სართულს ალაგებენ. თითქოს დამეგობრდნენ კიდევ, მაგრამ ვერაფრით გამოტეხა მარამ კლერი, ვინ არის მისი ბიჭის მამა. ნახევარი საათის წინ საგულდაგულოდ შერჩეულ ტანსაცმელს სწრაფად იხდიან და გარდერობში კობხად შეკიდებულ ლურჯ კაბებს ირგებენ თეთრი მაქმანის საყელით. მერე შამპუნებით, საპნებით დატვირთულ ურიკებს დერეფნებში გამოაგორებენ და მუშაობას შეუდგებიან. სამუშაო დღის ბოლოს კი ისევ იმ ოთახში ხვდებიან ერთმანეთს, დალილ-დაქანცულ ლურჯ კაბებს იხდიან და ისევ ნებიერა, ყვავილეთიან სამოსს ირგებენ. როგორც წესი, ტანსაცმლის გამოცვლისას კლერი ზურგით ბრუნდება, არასოდეს ჰყოფნის მარასავით სითამამე, მხრებში გაშლილმა გადაიძროს კაბა და მერე კიდევ ათასი რამ მოიკონოს დასაკეც-მისაღებელი, ოღონდ კი შიშველმა იაროს ოთახში. დიასახლისის კაბის გახდისას მარა კლერს უსაფრდებდა, მხრებში მოხრილს ჩუმად ეპარება და ზურგზე კოცნის. მიუხედავად იმისა, რომ კლერისთვის ეს კოცნა დიდი ხანია მოულოდნელი აღარ არის, კრთება, წელს იმართება, გამბედაობას იკრებს და მარას უბრუნდება:

— ნუ მეხუმრები ასე, მარა! — სიმკაცრეს ურევს ხმამი.

— კარგი რა, კლერ, ზურგს რატომ მაქცევ, როდესაც იცვლი? — უღიმი მარა.

— რა განიტერესებს? — ბრუნდება კლერი და ხელის მტევენებს ჯვარედინად იფენს მკერდზე.

— კერტების ფერი, — მარა წელში ოდნავ იხრება, მალა წინდებს ისწორებს და თვალეებით უღიმი.

— ხო გაჩვენე იმ დღეს? — ხელეებს შლის დამარცხებული კლერი.

— იქნებ, ფერი იცვალა-მეთქი, — იღიმი მარა და ძუძუს თავებზე აკვირდება.

— აღარ მაკოცო, იცოდე! — ზურგს აქცევს კლერი.

— აღარასოდეს! — ცრუობს მარა და კმაყოფილებისგან ტუჩებს ინვრილებს.

საღამოობით კი, როდესაც ქალაქის მთავარ მოედანზე ლუდს ერთად მიირთმევენ ქალაქის თავი და ყასაბი, მარა მოუბეზრებლად ჩადის ერთი და იმავე სარიტუალო ქურდობას. სახლისკენ მიმავალ გზაზე, ქუჩის ბოლოს მალაზიამი სანოვაგისთვის შევივლის, კარის თავზე ჩამოკიდებული ენაჭარტალა ზანზალასკ ენერგიულად გაანკარუნებს და ისე მოავლებს მალაზიას მზერას, თითქოს დიდი პატივი იყოს იქაურობისთვის მარას სტუმრობა. პურ-ფუნთუშეულს რომ მოილევს, მაცივარს მიუახლოვდება და გამყიდველს ეტყვის:

— რას მიყურებ? — იმდენად ჩუმად, რომ ნათქვამი მხოლოდ ბაგეზე იკითხებოდა.

— ისე... — დაიმორცხვებს ხოლმე ფერმკრთალი ბიჭი.

— გაიხედე და მოვიპარავ, — თან მზერით ანკეს ფანჯრისკენ გადაუგდებს.

პატარა ბიჭმაც იცის, რომ მარამ ყველი უნდა მოიპაროს, თვალს არიდებს და დანაკარგს დავთარში ინიშნავს. ისიც იცის, რომ მარა თვის ბოლოს ცოტა მეტსაც გადაიხდის მთელი თვის ნაპარაკ ყველში, მაგრამ ქურდობას ვერ გადაეჩვენება. მოპარულ ყველს მარასთვის სხვა გემო აქვს — ოდესღაც ახლომხედველ ბიჭთან მალული შეხვედრების გემო. მერე მარა სანოვანის ველოსიპედის წინ დამაგრებულ კალთაში მოათავსებს და საყრდენ მილს ფეხით აკეცავს. სანამ სკამზე შემოჯდება, ფეხებგამოღობილი გაივლის ორ ნაბიჯს და საჭეს მიმართულებას შეუცვლის. ფერმკრთალი ბიჭი კი მოუთმენლად დაელოდება მომდევნო საღამოს და მარას მისვლის დროს დანიური ყველის საუკეთესო ნაჭრებით შეავსებს თაროს.

ჟანი არ იცნობს მარას, არც ის გოგობი უნახავს თვალთ, ვისი ხმითაც ტკბება ყოველ ღამეს. ჟანმა დიდი ხანია განწყობა რეალური კავშირები მეგობრებთან, სამსახურსაც თავი დაანება და ტბის პირას მამინაცვლისგან ნაანდერძე სახლში გადაბარგდა. სრულიად ურცხვად დაეპატრონა იმ ადამიანის ქონებას, ვინც ჭირის დღესავით სძულდა და უკვე დაუძღვრებულს წყლის ჭიქას მომორებით უდგამდა, არაფერი უჭირს, ცოტა ხელი გაანძროსო. გამოკვეთილი ყვრიმალეები, ჩიტის მიტოვებული ბუდეცავით სხვადასხვა მიმართულებით ამოსული თმის ღერები და ყელზე გამობურცული ადამის ვაშლი ისეთივე სამკაულად მიაჩნდა ოდესღაც, როგორც განუყრელი თითბერის ბეჭედი ღრიანკალის გამოსახულებით და ტყავის საკიდით შებმული ამულეტი — მარადიული ანხი. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა, ჟანისთვის სიცოცხლემ გემო დაკარგა.

საქმე ისაა, რომ სამსახურს თავი კი არ დაანება, არამედ ათი წლისთავზე დაუფიქრებლად მიაბრძანეს, როდესაც გამოირკვა, რომ დღისით, მზისით თანამშრომლის საყურე გადასცდა — ყურიდანვე ენით შესწინი! არადა, ერთადერთი, რასაც ჟანი არ უჩიოდა, სწორედ სამსახური იყო. ფულიც იყო და ვნებაც ამ საქმეში, ჟანს კი ამაზე მეტი არაფერი აღელვებდა ცხოვრებაში. საიუველირო ფირმაში სამკაულებს სახელს ურჩევდა და არც უძილო ღამეები დაუჭლია იმაზე ფიქრში, ახალი კოლექციისთვის ისეთი სახელი მოეფიქრებინა, უკანასკნელ ფულს ჯიბიდან რომ ამოაცილდა ქალებს, მათ ქმრებს თუ საყვარლებს. ჯერ კიდევ უსახელო სამკაულებს ხან მზეზე გახედავდა, ხან საღამოს ცივ განათებაზე აკვირდებოდა, ხან ანთებული სანთლის თავზე ჩამოჰკიდებდა და ისე უჭყრეტდა; მერე თვალდახუჭული ხელით ეხებოდა ძვირფას ქვებს, პირში იდებდა და აგემოვნებდა, ხელის გულზე ამოწმებდა ტემპერატურას, ბროლის ჭიქაზე ანკარუნება, სხვა სამკაულთან შეხების ხმას აყურადებდა; დაკვირვებით უხამებდა მაქმანს, შალს, მიფონს, სხვადასხვა ფერის ჩითებს და ამისათვის პანია ნაჭრების კატალოგიც კი ჰქონდა. ბოლოს კი მისანითი წარმოსთქვამდა მაგიურ სიტყვებს: „მარაკემის მთვარე“, „მგალობელი ოვალი“, „ალისფერი ჩრდილი“. აი, გადაყლაპული საყურე კი ისე გაეპარა მინისქვეშა ქალაქის მიღებში, არც უნიტაზში ჩანკარუნება გაუყრა და არც მახვილი თვალის მოუკრავს. მოგვიანებით კი დაუსრულებელ მუცლის გვერდებზე ექცა სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი. თითქოს სიგამხდრისგან ჩავარდნილ მუცელს თავისი წილი მოგონება მიაბარა, ტკივილი კი სამუდამოდ შეინახა ტვინის რომელიღაც ხვეულში.

მას შემდეგ ტკივილი ყოველ საღამოს სტუმრობს ჟანს, სულს უფრთხობს და გონებას უბინდავს. დიდხანს ეგონა დროებითია და გაივლისო, ასე ამშვიდებდნენ მეგობრებიც. თუმცა თანდათან გააცნობიერა, რომ ამ უცნაურ ტკივილთან სარეცელს უკვე დიდი ხანია იზიარებდა. ველარც კი იხსენებდა დროს, როდესაც არაფერი ანუხებდა და თავისუფალი გონებით საფიქრალს და სანოლში მენ-

ყვილეს თვითონ ირჩევდა. რამდენადაც ეჩვეოდა საკუთარ სატკივარს, ის იმდენად დაუმორჩილებელი და დაუნდობელი ხდებოდა. ერთხანს თითქოს მომინაურებაც სცადა: ხან ქალად წარმოიდგენდა და იფიქრებდა, ერთ დღესაც მოეზრდება და მიმატოვებსო. მანამდე კი დათქმულ დროს მოვა და დიდხანს არ დარჩებაო. სხვანაირ ქალებს ჟანი არც იცნობდა; ხან კაცად წარმოისახავდა და ხმამაღლა შესძახებდა, „აჰ, შენ ხარ, ისევე? მობრძანდი, ძმობილო! ვისკი ხომ არ გემსიამოვნება ნიჟელით? ან იქნებ ჩემი ხელით დავირჭო წემსი ტაკოზე და ამაზე მარა გაცივო?“ ხან თითქოს უხილავ მღრღნელს ხედავდა, ხორცს რომ აგლეჯდა გამხდარი მუცლიდან და სოროსკენ მიატოვებდა. მუცლის გვერმა ყოველთვის განსხვავებულად ეწყებოდა და ყოველ ჯერზე სხვადასხვა ხანგრძლივობის და სიმკვეთრისა იყო — ყრუ, მწველი, გამჭოლი თუ მფეთქავი. მისი ბუნების და ხასიათის ამოცნობა თანდათან უფრო უჭირდა, წარმოშობის მიგნებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოფილა ისეთი დღეც, შესაძლოა ორიც ზედზედ, რომ ტკივილი არ მოდიოდა, მცირე უსიამოვნო შეგრძნებითაც კი არ ახსენებდა თავს. ტკივილის მოლოდინში გათენებული ღამეები მოგვიანებით ჟანს ყველაზე უსიამოვნო მოგონებებად ექცა. მოლოდინი კიდევ სხვა ტკივილია — ელოდები, ტკონია,



ახლა მოვა ან ისე მოგეპარება, სულს ერთ წამში ამოგაცლის და სადღაც წერზე აკრულს გადმოგახედებს მიტოვებული სხეულის შესაბრალელებად. გული გიჩქარდება, ოფლი გასახამს, ღრიალებ და იმაზე მეტად ბორბავს, ვიდრე ტკივილის დროს. ის კი არა და არ მოდის ან ფარდის უკან დამალული და მოქირბილე უყურებს შენს სიმბდალეს. ამ დროს სამყარო შენი აბობოქრებული მუცლისხელა ხდება, სხვა ვერაფერზე ფიქრობ და გგონია ყველა ნერვი, ბილიკი, გზა თუ მაგისტრალი შენ ჭიპზე გადის. ხვდები, როგორ გაპატარავებს ტკივილი და უმოწყალოდ გართმევს ბუნებით მონიჭებულ, მერე კი ასჯერ დაკარგულ და აღდგენილ ღირსებას. გამძლეობის გამოსაცდელად ხანდახან ჟანს დიდხანს უთმენია ტკივილი, მერე კი დამარცხებულს გამაყურებლის ორმაგი დოზა ერთბაშად მიუღია და სიმწრისგან დაჭმუჭული ქალადის ჭიქა ხელის გულში მოუქცევია.

დროსთან ერთად აუხსნელი ტკივილების გამო აღარავინ უთანაგრძნობდა ჟანს და აღარც ტკივილის მიზეზს აღიქვამდა ვინმე სერიოზულად. წლების წინ გადაყლაპულ საყურეს, რომელიც არც ერთ გამოკვლევაზე ჩანდა მის სხეულში, ჟანის აკვიატებდა მიიჩნევდნენ და არა მომაკდინებელ ნაღმად. რამდენიმე წვეულების თუ პიკნის გამოტოვების შემდეგ, ჟანს თანდათან შემოეცალა მეგობრები და სრულიად მარტო დარჩა საკუთარ თავთან და სატკივართან. ერთმა ექიმმა ისიც უთხრა, რომ წარმოსახვითი ტკივილი ნამდვილზე უფრო მტანჯველია, რადგანაც თან თვითდადანაშაულების უპატიებელი განცდა ახლავსო. ჟანს კი სწამდა, რომ ეს ტკივილები სავესებით რეალური იყო, რადგანაც საყვარელი სამსახურის დაკარგვის გამო საკუთარი თავი არასოდეს გაუიციხავს. მეტიც, საყურის ენით შეხსნის გახსენება ყოველ ჯერზე მუდმივად გაყინულ კიდურებსაც კი უთბობდა.

ერთადერთი, რაც ჟანს ცხოვრებისკენ გულს უბრუნებს, ხმები — წლების განმავლობაში შეგროვებული და ყურის ნიჟარაში საგულდაგულოდ შენახული პოლიფონია. ჭრიჭინას, სამკაულის, ჩაის მორევის,

ვისკის ჭიქაში ყინულის, მანქანის მუხრუჭის, ტელეფონის ზარის, საყვარელი ტელეგადაცემის ქუდის თუ მოალერსე ქალის ხმა ხანდახან ერთდროულად ჩაესმის ხოლმე და თავდაკარგული ჟანიც ნაკლებად გრძნობს მწველ ტკივილს მუცლის არემი. ამიტომაც ჟანი ყოველ საღამოს უპირობოდ იცავს მისივე მოგონილ რიტუალს, საძილე აბს უწყლოდ ყლაპავს, თითბერის ბეჭედი ერთი თითიდან მეორეზე გადააქვს და ტელეფონზე ნაცნობ ნომერს კრეფს.

— ანაის, მომეფერები? — შუბლიდან ცივ ოფლს მაჯით ინმენდს და თვალებს ხუჭავს.

მოგვიანებით კი როდესაც არათანაბარი სუნთქვით დაემშვიდობება ქალს, რომლის ხმაც ჟანისთვის სხეულზე ძვირად ფასობს, ბავშობისდროინდელ მუსიკალურ ყუთს მოძებნის საწოლის ქვეშ, გვერდულად დანებება, მუხლებს თავთან მიიტანს და ნაცნობ მელოდიას ძილში გაიყვობებს.

პირველად იმ დღეს გადმოწვიმა სწორედ, ახალგაზრდა გამხდარმა მამაკაცმა თავზე მიტოვებული ჩიტის ბუდით სასტუმროს ფოიეში ყავა რომ შეუკვთა. რადგანაც რეგისტრაციის დროზე ადრე მოუწია მისვლა, ხელბარგიანად ფანჯრის რაფასთან მიდგომულ პატარა მაგიდასთან



მოკალათდა და პასპორტში კიდევ ერთხელ ჩახედა საკუთარ ფოტოს. სანამ ყავას მიაღებდა, საკუთარი ხელებით ირთობდა თავს. ხან გაყვითლებულ თხელ თითებს აკვირდებოდა, ხან მტევანს ამოაბრუნებდა და ყურადღებით დასცქეროდა ხელის გულზე ამობურცულ პლანეტებს და მაჯისკენ მიმავალ სიცოცხლის ხაზს. მერე ყურადღება მაგიდაზე დახვედრებულ ბროშურებზე გადაიტანა, ფიტნესის და სპას მიმზიდველი ფოტოებით და სასტუმროს დიდებული ხედვით. ყავის პირველი ყლუპით რომ გაითბო გული, ფანჯრიდან ტერასაზე მოთამაშე ბავშვებს გახედა, მაგრამ მზერა ვერ მიაწვდინა — მინაზე აკრულ ყვავილის ფურცელს წარბებშეჭმუხულმა დაუწყო დაკვირვება. ვერც კი შეამჩნია, როგორ იმატა წვიმამ და როგორ აივსო ფოიე მოყიფინე დამსვენებლებით. დიდპატარაინად ფანჯრებს აწყვედოდნენ და გაჰყვიროდნენ — „მოდის, დიდდება!“. რამდენიმე წუთში ტყიდან გამომავალ ბილიკს მართლაც ჩამოუყვია ნიაღვარი ნაძვის მოყვითალო მტვრის ბაცი კონტურით, მერე გაფართოვდა, პატარა რუს დაემსგავსა და ყვითელი წვიმიბის სეზონის დანყებას სასტუმროს ბარის მევილინემ მხიარული მუსიკით აღნიშნა. სპეციალურად პირველი წვიმისთვის გამზადებული ყვითელი ქოლგები ყველა მსურველს არ ეყო, წვილი-წვილიად შეეფარნენ და ჟრიალულით გარეთ გაცვივდნენ. ჟანს არც კი უცდია ქოლგის აღება და მოზეიმეთათვის დადევნება. ფეხზე გაიხადა, შარვლის ტოტები აიკეცა, სასტუმროს წინ პატარა გუბები ჩადგა, სახე წვიმას შეუშვირა და დასველებული თმები ხელის გადასმით ადვილად დაიმორჩილა.

ორი საათისთვის მომცრო გორგოლაჭიანმა ჩანთამ და დამხმარე ბიჭმა ჟანს ნომერში შეასწრეს. ყავისფერ ტყავის ჩანთას ქარვისიმიკვლე დამინანქრებული საკეტებით კი ხელიდან არ უშვებდა. ჩანთაში საგულდაგულოდ ინახავდა საგზურის მოსაპოვებლად საჭირო ყველა მტკიცებულებასა თუ სამხილს, რომლის შეგროვებასაც ექვსი მტკიცებულებით ნელი მოანდომა. დახვედრებული თაიგულისთვის და

მისასალმებელი ბარათისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სველი ტანსაცმელი ძირს დაყარა, აბაზანაში შხაპის კაბინას შეაფარა თავი და ატიკვებულ მუცელზე გასაპნულ ხელს დიდხანს ისმევდა წრიულად. შხაპის მერე სარკეში საკუთარ გამოსახულებას თავი აარიდა, პირსახოცს შემოხვეულმა სქელი ფარდები ჩამოაფარა, ორი საძილე აბი ერთდროულად მიიღო და უკვე მთვლემარეს კიდევ ერთხელ ჩაესმა დედის სიტყვები: „ეგ საძილე აბები სინდისს არ აძინებს, ჟან! ჯობს გამოფიზილდე და თვალი გაახილო“.

მეორე დღეს, საუზმის დრო გადაცილებული იყო, როდესაც გაეღვიძა. სოკოს სუპი ნომერშივე მიირთვა, წინა დღეს იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი წამოკრიფა, სწრაფად ჩაიცვა და ადმინისტრატორთან ქალაქის გზების გამოსახვევად ჩავიდა. ადმინისტრატორი ადვილად მიხვდა, რომ ჟანი ფიქრებში გახლართულიყო და ალაგ-ალაგ უსმენდა. ქალაქის რუკა და ტრანსპორტის გრაფიკი გაუწოდა და სასტუმროს ტაქსიც შესთავაზა გზააბნეულობის თავიდან ასარიდებლად. ყურადღების გაფანტვისას ჟანს მუდმივად სოკოს მასწავლებლის ხმა აფიხილებდა. „მე ვარ მიკითხავს, რაზე ფიქრობ, ჟან?“ მერე კი თავისით წამოეშლებოდა მოგონებები და თითქოს თვალნათლივ ხედავდა პატარა ბიჭს, რომელსაც უყურადღებობის გამო ჩიტებისთვის სახლების აწყობა, საახალწლოდ ფიფქების ორნამენტების გამოჭრა და მზარეულისთვის კრუასანების გამოცხობაში მიხმარება ჰქონდა მისჯილი.

ახლა მისი ერთადერთი საფიქრალი ანმყო იყო. მთავარია, დათქმულ სამ კვირაში ჩაატაროს სტუმრობა და გამოთავყვანებულ დამსვენებელს არ დაემსგავსოს (ცაში აპყრობილი მზერიოთა და უმისამართო ლიმილით. მინიმუმ ორი კვირა საჭირო ორი დამაჯერებელი შეხვედრისთვის და მერე საოცნებო საგზურსაც დაიმსახურებს. დიდი ხნის მტანჯველი ფიქრის შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამ ჟანს სიმშვიდე მოუტანა. ერთადერთი, რაც აფორიაქებდა, შესაძლო წინააღმდეგობები იყო. თუმცა ახლა განსაკუთრებით ახარებდა ის ამბავი, რომ ყოველ ჯერზე მედგრად გაუძლო ოჯახის შექმნის ცდუნებას თუ ერთგვარ იძულებას ქალების მხრიდან.

შეხვედრა სატელეფონო ზარით დაგეგმა, სასტუმრო დატოვა და ტყისკენ გაუყვა ბილიკს. ტყის სიმშვიდემ ააფორიაქა, თავი კიდევ უფრო მარტოსულად იგრძნო და მალევე გამობრუნდა უკან. ოთახში შესვლისთანავე ჩანთის წინა ჯიბიდან სამკაულებებისთვის შესახამებელი პატარა ნაჭრებისგან საკუთარი ხელით შეკერილი ტიკინა ამოიღო — მისივე გამოგონილი მუცლის ღმერთი, გამხმარი ყვავილებით ამოვსებული ლიპითა და თავზე გვერდებარეხილი ჩალის ქუდით. ხანდახან, როდესაც უიმედობა მოეძალეობდა და სიკვდილს ნატრობდა, პირად ნივთებს უმოწყალოდ ანადგურებდა. წარმოსახვაშიც არ სურდა იმის დანახვა, მისი გაქრობის მერე, ყოფილი გოგო ან დედამისი როგორ ასველებდნენ ცრემლებით მის საყვარელ პერანგს, წყლის წვეთებიც კი ლაქებად რომ აჩნდებოდა ხოლმე. წარმოდგენდა ამ გულისმომკვლე პეიტას და საკუთარი პერანგი უფრო შევბრუნებულა, ვიდრე მოკრძალებული ცრემლით დამტირებული. მუცლის ღმერთი კი ყოველთვის ხელშეუხებელი იყო — მუცლის ღმერთი და ყავისფერი ტყავის ჩანთა, ერთ ცხოვრებას კიდევ გაუძლებსო, გაიფიქრებდა და საკეტებს შეუმომნებდა.

ჟანმა იმ საღამოს ტკბილი სოუსით შეზავებული ბრინჯით მსუბუქად ივასშმა, ძილის წინ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი ბეჭდითა და ხელმწიფით დამონმებულ სატიტულო ფურცლებს და პირველი შეხვედრის მოლოდინში ტკივილგაუყურებლად ჩაეძინა.

თავის დროზე მარას კლერმა ასწავლა მომსახურების ოქროს წესი — არასოდეს მოეყოლა ქალაქში ის, რაც ოთახის დალაგებისას იხილა და ყოველთვის უჩინარი დარჩენილიყო. მოგვიანებით კი ერთი საიდუმლოც გაუმხილა თავისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან — ტუმბოზე



ჯარჯი ფხოველი

ორი ნადირი

ორი ნადირი: შიში და შიმშილი, თავისები, შინაურები... ხელალებით დაიჭირეს შენი გულის შუალამე: გაინანილეს... დაიკავეს მსახვრალ დროის ფეხმოსაკიდი: შავი ღრუბელი გადაკიდეს გვირგვინოვან არტერიებზე...

და ორივემ დაითავისა ეს ტყე, გულის გზას რომ ფარავს მთელი სიცოცხლე, დაითავისა სირცხვილგამძლე ტოტები და კენწეროები...

საკვირველია: სირცხვილგამძლე გული გქონია, ის თან გაგყვა სიზმარშიც და იმის იქითაც... და კიდევ უფრო იქით და იქით, სადაც შენი მეტასტრიქონი დაიმალა ისე, თითქოს გულის კიდეებს

ყორნის მსახვრალი ფრთების ჩრდილი გადაეფარა! და მზეც დაახშო და სტრიქონი დააბოლოვა შავი კენესით: საიქიოს ძახილის ნიშნით!

ორი ნადირი: შიში და შიმშილი... იმდენი, რომ მთელ ქვეყანას ყოფნის ორივე... იმდენი, რომ შენი ლექსის მეტაკენესაში მხოლოდ მათი გულისხმა ისმის... და მეტალექსის კენწეროზე ყორანი ზის და შენს ბებერ გულს ჟამიჯამ ბზარავს მისი ყრანტალი!

არ გაიკვირო

არ გაიკვირო, სიტყვაში რო გამეორდები, სიყვარულში რო გამეორდები, სიკვდილში რო გამეორდები,

სტრიქონში რო გამეორდები, სიძულვილში რო გამეორდები, ყაჩაღის ნათქვამ კენესაში რო გამეორდები...

და ესეც არ გაიკვირო, რო არაფერში, არც სიტყვაში, არც სიკვდილში, არც სიყვარულში, არაფერში, არაფერში, არაფერში არ გამეორდე!

ცაო

სამშობლოს ცაო, ღამე ხარ შავი, თან მოგაქვს დარდი და შენს გამოა ტკივილი, რასაც გულში ხარშავენ და წვეთწვეთობით მზეზე გამოაქვთ...

შუბლს დაგილარავს ქართა გენია: გადაღვს მეხით და კიდევ სხვა რამით... ცაო, ინგრევი კართაგენივით: მიწას ეყრება შენი ვარამი!..

მაშინ იელვებს, როცა არ ელი... სიზმარშიც, ცხადშიც შენი მდევნელი: შენი ღრუბლების შავი არილი და შენი ღამის ვარსკლავ-მტეხენები...

შენც მიორღები

და შენც ისე მეორდები, არაგვი რო მეორდება მოსახვევებში: ჭალა-ჭალა ნატოტნ ლოდებს ხელახლა რო გადათვლის და სხვა ნაპირზე გადააგორებს, სადაც ქვიშა და უდაბნოს სუნთქვა ტრიალებს...

სწორედ ისე მეორდები: მრავალ ლექსში გამოვლილ სიტყვებს სხვა სიტყვების მორევეში რო შეურევ და უდაბნოს სუნთქვას გადასცემ... და ასე ტოვებ მომდევნო მზის ამონვერვამდე, და ივინყებ იმათ ტან-ფეხს, იმათ თვალებს, იმათ გულებს, გაკვირვებულებს...

შენც არაგვივით მეორდები: ხელებს მოხვევ სიტყვების ღორღს და იქით ნაიღებ, სადაც ლექსის ქარის ნატოტნი გულის უდაბნო კენესის, ტიალი...

კატო ჯავახიშვილი

ნაქურდალი

ამანა თქვა: მცივაო. ავდექი და სანვიმარი გავიხადე. იმან: — მეც რომ არ მაქვსო? ავდექი და კაბა გავიხადე. მესამემ: — ღმერთი მოგვცემსო. გასახდელი არაფერი მქონდა და ღმერთი გავიხადე. — რომ არ მოგვცესო? მუცელში წვიმა ჩავიგუბე და შვილი გავიხადე. პატარამ: — მოვიპაროთო. ყურძენი დავსრისე და გული გავიხადე.

ჩემი თვალებით უნდა შეხედო: ღამლამობით, როცა სახმელეთო ამბები სრულდება და საკუთარი სიზმრის ნაოსნობაში წასულელები სხვის სიზმრებში იღვიძებენ, ღამლამობით, როცა საკუთარცხოვრებამიტოვებულელები სხვის ცხოვრებაში იძებნებიან, ღამლამობით, როცა ენაგადმოტრიალებულელები სხვის სიტყვებში ძვალდებიან და მომავალგადარბენილები წარსულში ერთი ნაჭერი ბედნიერებისთვის იქექებიან, რომ ნამცეცებით ამოვსებული სტომოქებიდან დრომ მათი წილი შიმშილი მოშეიებული ჩიტივით არ ამოკენკოს და პირში ჭიაყელასავით არ დაეკლაკნოთ ის, რაც ხელისგულზე უხსოვარი დროიდან წაინერეს და ცხოვრება დაარქვეს, რომ მერე, სიზმრის ტბაში ჩაგუბებულეებმა და თევზივით ასხმარტალებულეებმა საკუთარი ცხოვრება არ გადაყლაპონ და წარსულდაბრუნებულეებს საკუთარი თავის არ შეეშინდეთ, ჰო, ღამლამობით, როცა ცხადში ჩაღვქილი იასამნის ხუთფურცელა ფოთოლი მწკარტე გემოს მიტოვებს პირში და წყლის დასაღვეად ფეხშიშველი გამოვდივარ სამზარეულოში, რომ მუნჯი სურვილები წყალს სიზმრებით გავაყოლო, მე ვხედავ, ხბორივით როგორ მივყვები საკუთარ ჩრდილს ჩემი მომავლის გამოქვაბულში და უკან დაბრუნებულს, საკუთარი თავი მშია.

ამანა თქვა — მშიაო. მშია-მეთქი ვთქვი მეც და წყალი დავლიე. — რომ არ გვაქვსო? თევზები ენის კაუჭზე წამოვიცვი. მესამემ: — ღმერთი მოგვცემსო. ღმერთი სადღაა-მეთქი და ფარფლები ენიდან დავიფხიკე. იმან: — რომ არ მოგვცესო? ყელიდან ფხა გამოვიძვინე. პატარამ: — მოვიპაროთო. მოვიპაროთ-მეთქი... და საკუთარი თავი ვიქურდე.

„ბოლია, ბოლია, ხბო წითელია, ძროხა ჭრელია.“

სარდაფი

სარდაფი ვირთხისთვის. ქალები სარეცხზე აივანს კიდებენ. ხო. უფრო დალლაა. ან უფრო შიშია. ან იქნებ მოწყენა. არ იღებ მნახველებს. და გძინავს. ლოგინში ისწორებ კიდურებ დახლართულ სხეულს და რატომღაც გულიდან ნერწყვდენა გენყება. ბალიში ორისთვის. ან იქნებ ხმელეთი არც ისე დიდია. არც ისე პატარა, ადგი და საბანქვეშ ტყუილი დამალი. ნემსები ლეიბზე — საკუთარ ამბავში წევხარ და მოდუნდი. საფეთქლებს იმშრალე — ამბიდან გადმოგცდა სიტყვა და დამბალა. წესია ასეთი: იჯდე და ცხოვრობდე. შენთვის და საშენოდ. როდესაც მოდიან, ვინ იცის რისთვის და რატომ და როდემდე. წესია ასეთი: წასვლამდე დარჩე და მოსვლამდე საშენი მასალა არ გეყოს. მინისპირს დაჯდე და თვალწყალი ადევნო იმათ, ვინც მოვიდნენ, ან იქნებ წავიდნენ, მოსვლა კი წასვლამდე ხანდახან გვიანი. ხან უფრო ადრეა. ან უფრო ზოგადად თუ იტყვი — ისინი ვერმოსვლას ირჩევდნენ. გსწავლობდნენ და თითქოს გზოგავდნენ, რომ შენი სიჩუმის დათმენა გქონოდა დღეები, რომლებსაც ხანდახან გავივლით და მაინც ადრეა. თვეები, რომლებიც უეცრად გაიქცნენ და მაინც — გვიანი. სარდაფი, რომელიც რატომღაც აივანის გარეშე დაბერდა ქალები, რომლებმაც გაბზული სარეცხის თოკებით იარეს. ხო. ასე გადაწყდა. ეს თუნდაც გადალლა. ან იქნებ შიშია. არ იღებ მნახველებს. არ გინდა ლოყები დამანჭო. სიცილით. და უფრო ხმამაღლა. და უფრო გამოთქმით ვამბობ, რომ... გაშეშდე. სარდაფი ვირთხისთვის. და უკვე უხამსად. უხეშად. — გაცილებ.

მაია ჯოლბორდი

ვიცი დაილაღე მე კი საკუთარ გარეგნობას ლიფტის სარკეში გადავამოწმებ დიდია ღმერთი ჩემს მახინჯ ტექსტებს თვალს რომ უხუჭავს გამოძინების ნებას მაძლევს და მასაჩუქრებს ამქვეყნიური კორიანტელით მე სამყაროს დიასახლისობას ვირგებ მტვერს ვწმენდ ბეჭის განჯინიდან გამონყოფილ სასტუმრო თევზებს და ვითვლი ათ კაცამდე ისინი ყოველდღიურად მოდიან პომადიან ტუჩებს ახოცავენ წკრილაა ჭიქებს და ტირიან გარდაცვლილ საყვარლებს ყოველ ახალ წელს საფლავს ვუმკობთ ყვავილებითო ტირიან მე ჩაის ტილოს ვაბრუნებ მშრალი მხარე მინდა ვუპოვო რომელშიც ბებოს მკვდარ სხეულს გავახვევ რომ არ შესცივდეს და სარკეში ჩახედვა არ მოისურვოს აქ სიჭრელია გულისამრევი სიჭრელი შავ-თეთრი ფილმი მომენატრა ღმერთო.

ვიცი გაივლის ესეც გაივლის და დაემხოვა დედამინა თავის ცოდვებით აბლაგებული მიმოდინ კრავნი უმწეოდ შენ ამ დროს აქ ხარ ჩემთან ერთად ვსვამთ მღვრიე მორევს ბუშტუკებში ანგელოზები თამაშობენ რატომ რატომ აქვთ მათ ოქროსფერი კულულები როცა სიშავე აკვდება მინას როცა მთები ბორგვას განუწყვეტილი იმეორებენ მე ვტირი ღამეს ღამესთან ერთად და მამშვიდებენ მესანთლები რომ დღე მოვა ნათლით მოსილი დაედარება აღდგომის დღესასწაულს იგალობებენ თემშარაზე დამსხვრეულ სახეებს ჭებსა და თხრილებს წამოდგომისთვის უპირობო შესაძლებლობებს მთვრალ გენიოსებს გათანგულ ფილტვებს და ყველაფერს რასაც ფერი არ გააჩნია რაც მოკვდავთათვის უსუნოა ხიბლდაკარგული ის მოვა დიდი განიერი ფრთებით და შეიფარებს უსაზღვროებას გალაკტიონ.

თაა

სამი დედა ტირის ერთ დედას რატომ რატომ გაჩნდნენ შენში სისხლის თეთრი ბურთულაები მაშინ როცა მე სიკვდილს ვნატრობ როცა დღე აღარ ჰგავს დღეს და ნათელს მუსიკა კი გრძელდება ტანჯვის საათი ნელა ინვდის ხელს ციფერბლატზე ჯერ ხომ ისევე ახალგაზრდა ხარ სუნთქვის სიჭარბეს მონატრებული და ის ნუთებიც შენთვის გამოგონილი ცრემლებითაა სავსე როგორ მოგიტანო იმედი შენ დიეტაზე ხარ გეკრძალება ოცნების ჭამა სიტყვებს ვაგროვებ მე სიცოცხლე მომისაჯეს ღმერთებმა უნდა გიყურო როგორ გცვივა და ამოგდის თმები როგორ ინვის სათქმელი როგორი სუსხია ამ ზაფხულში როგორ ქვავდება დრო მე გტირი და ჩემი სიცოცხლე მინდა გასვა სუფრის კოვზით დღეში სამჯერ გამოგიზოგო ვერ გადაიტან ის ბლანტია სიკვდილზე მძიმე ჯოჯოვებით და ბაყაყებით სავსე ჭაობი მაგრამ მარადიული დამალა მრავალფეროვანმა ფრაზებმა საქმელმაც მარილწყალში დამბალი პური მომენატრა ღმერთო.

დედა

დედა მომიკვდა მინაში ჩაფხალი და წამოვედი ის რაც იქ რჩება ზოგჯერ უფრო მთავარია ვიდრე ცხოვრება ყოველდღიურად რომ მაბიჯებს წამომადგებს საწოლიდან მაიძულებს დავიბანო ხელ-პირი და მზეს შევხედო

რომელიც სხივმკვდარია სითბოსა და სიყვარულს მოკლებული უხილავი მზის ხილვა მომენატრა ღმერთო მაგრამ ვიცი ჯერ ბევრი ბევრი უნდა ვიარო მერე ჩემი დედაც ადგება მინას აიკრეფს და ისევე გადამაყრის სხეულზე როგორც მე ეშმაკის ბორბალი კი ტრიალებს.

შავი

ღამემ ჭკუა ვერ ისწავლა ბნელდება და ბნელდება მერე რას გვიტოვებს რას გვთავაზობს გამოფიტულ ვარსკვლავთა გულისფეთქვა ნერვებს ყინულივით ეკიდება ვირუსგამძლე სული იოლად ვერ ისაკუთრებენ მიმოზნეული კომმარები კუდაპრეზილი დაეხეტებიან მსხვერპლის მოლოდინში ყნოსავენ და ყნოსავენ სიზმრებს ენას აყოლებენ ცხოვრებას ჩვენ ტელევიზორს სხვა არხზე გადავრთავთ ვუყურებთ სარეკლამო ბმულს ჭიქა ყავაში ვათავსებთ წარსულსა და აწმყოს აწმყოსა და მომავალს ვაპირქვავებთ და ვმშვიდდებით გადავლახეთ მთები აქეთაც და იქით ღამე ჩაიხერგა ლელეში ველარასოდეს გავასვენებთ ის დარჩა.

ცხენი

რაც იყო ის არასოდეს აღარ იქნება ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ ყველას ჩვენ-ჩვენი პრობლემების ხურჯინი დაგვაქვს თითოეული საკუთარი ტვირთის სიმძიმეზე საუბრობს ვამბობთ რომ მეტი აღარ შეგვიძლია რომ დავილაღეთ ერთი სული გვაქვს მდინარის დინებას მივყვით ჩაქნეული ხელი ერთ წერტილში გავაჩეროთ და გავქვავდეთ სწორედ იქ საიდანაც დაბრუნების ნაკლები შესაძლებლობებია მე მიყვარს ჩემი ხურჯინი ყოველ ღამით მალულად ვკემსავ მის დაფხავებულ ძირს ახალ დღეს რომ გაუძლოს კარადის უჯრებში ვჩურთავ მომაკვდინებელ ფიქრებს უნაყოფობის მიაშიტი შემგროვებელი ვარ ვიცი ერთ სრულყოფილ მოთხრობასაც ვერ დავიტევ წასაკითხად საინტერესოს ერთფეროვნად მოსაწყენი ხდება სიმძიმე ვკერავ და ვკერავ ქარგვა არ მეხერხება ცხენის ჭენების წინააღმდეგი ვიყავი ბავშვობიდანვე მიყვარს როცა გვერდით მომეყვება როცა ნელა და მწყობრად ვმოდრაობთ ერთმანეთის ნაბიჯებს ვითვლით სიზმარში ცხადში ყველა მხრიდან ყურისნამღები ჭიხვინი ისმის ეს მისი არჩევანია ხურჯინს ტყეში ბებერი მუხის ფულუროში ვმალავ და თამაშიდან გავდივარ იყო და იყო.

იქ ღრმა შორეთში მივიწყებულ დედაჩემს ვტირი პეპლების ფარფატს შეაკვდება ღამე მთვლემარე და კიდევ ერთხელ შეგუბდება ფილტვებში სუნთქვა როცა სიყვარულს კაბას ახვევენ გაპარტახებულ მინდორ-ველებს დასტირის ღმერთი შენ კი საკუთარ ცხედარს უვლი კუშტად გარშემო სიტყვები სიტყვებს რომ დააშენო დაცვარულ ბილიკს გახურებული შუბლით ასკდები ეს მერამდენედ აქოთქოთდა ბეზიას სკივრი ეს მერამდენედ ყივის ნეკნი მოპარულ სხეულს და მერამდენედ დუმან მთები შენთვის და შენით როგორმე ეს დღეც რომ გაასვენო იქ ღრმა შორეთში მივიწყებულ მამაჩემს ვტირი.





ზაალ სამადაშვილი

ამერიკული კვი

დასასრული

ტიანი სასმელების დიდი დოზებით ჩასა-
ნთქმელად. შემდგომში მათ „კულტურის
მუშაკებიც“ დაემატნენ, იმ სასიმღერო და
საცეკვაო ანსამბლების წევრები, რომ-
ლებიც წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მარ-
თავდნენ კონცერტებს „კაპიტალისტურ
ქვეყნებში“, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხე-
ლისუფლების ნებართვით. მათაც გადმო-
ჰქონდათ საზღვარზე სავეე ჩანთები,
მათაც სჭირდებოდათ ლენინის პროფილ-
იანი კუპიურები, ოღონდ მეზღვაურები-
სგან განსხვავებული მიზნით — ოჯახების
სარჩენად...

უცხო ხილს საღებავ რეზინად არავინ
მოიხსენიებდა. როგორც ლუდს — „პივა“
და ძეხვს — „კალბასი“, მასაც რუსული სახ-
ელი — „ჟუვარკა“ შეერქვა და ათეულო-
ბით წლების მანძილზე შერჩა. ჩემნაირი ბი-
ჭუნები, ვისაც სკოლაში საუზმის ფულად
თხუთმეტ-ოც კაპიკს გვატანდნენ მშობლე-
ბი, ცალობით და კვირამი ერთხელ ვყიდუ-
ლობდით „Wrigley's“-ს. ხუთი-ექვსი დღის
შიმშილობა იყო საჭირო საკმარისი თანხ-
ის — ოთხმოცი კაპიკის მოსაგროვებლად...

ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა
გახლდათ ოპერისა და ბალეტის თეატრამ-
დე ტროლეიბუსით მგზავრობა, რუს-
თაველიდან ქვევით, ვინრო ქუჩაზე ჩარბე-
ნა, მოცუცქნულ, კიბის ბაქნისხელა ეზოში
თავის ამოყოფა, ბნელ სარდაფში ხელის
ცეცებით ჩასვლა და მუჭში მოქცეული
ლითონის მონეტების განრდება ქურთი
დედაბრისთვის, რომელსაც ნავთის ლამ-
ფის მოფარფატე შუქი უნათებდა და-
ნააჭებულ, მწვანე ხალით დამშვენებულ
შუბლს. რამდენიმე დღით საუზმეზე უარ-
ის თქმა და ლოდინი გვირგვინდებოდა
იმით, რომ სარდაფიდან ამოსვლისთანავე
ქალაქს აცლიდი ფირფიტას, ორად კე-
ცავდი და პირისკენ იქანებდი. ორად
გაკეცვა კიბოებს შორის უკეთესად მო-
საქცევად და გემოს უკეთ ჩასატანებლად
ხორციელდებოდა. აამოძრავებდი თუ არა
ყბებს, უმალ ისეთი შეგრძნება გეუფლებო-
და, თითქოს მთელი სხეული, ყველა უჯრე-
დი გვესებოდა პიტნის სიგრძილითა და მისი
მომწარმო-მოტკობი პრომატიით. თავდა-
ჯერებულობაც გემატებოდა თითქოს,
უფრო მხნე და ხალისიანი ხდებოდი...

ზნეობის სადარაჯოზე მდგარი, ჭკუის
დამრიგებლებად გამწვანებული ადამიანე-
ბი, რომებსაც აღზრდის ერთადერთ სწორ
მეთოდად პიროვნების ჩარჩოებში მოქცე-

ვა, მისი შებოჭვა მიაჩნდათ — მაგრად
ბრაზობდნენ. მათი აზრით, „პირის
ღლაჭუნსა“ და „ტუჩების ნკლაპუნს“ სხვა
„უბედურებაც“ შეიძლებოდა მოჰყოლოდა.
მაგალითად — გატაცება იმ მუსიკით,
რომლის შემსრულებლებიც სცენაზე დახ-
ტოდნენ და ინსტრუმენტებს უდიერად
ეპყრობოდნენ. ვის როგორ ეჭირა გიტარა
და ვინ როგორ ამოძრავებდა თითებს კლავე-
ნიშზე — ბურჟუაზიული კულტურის
ღობის შესახებ გადაღებულ პროპაგან-
დისტულ ფილმებში ვხედავდით. ელვის
სისწრაფით მონაცვლე კადრებში ყველაზე
ხშირად თმახუჭუჭა, კუბოკრულპიჯაკიანი
ჩაკ ბერი და ლამის ილიებამდე პერანგის
სახელოებაკაპინებული ჯერი ლი ლუისი
ჩანდნენ...

როკენროლის ვარსკვლავების გახ-
სენებაზე... ერთადერთი ბიჭი, ვინც
ამერიკულ საღებავ რეზინას კეცს ეძახდა,
ჩემი მეგობარი გიგი სულაკაური იყო.
მოგვიანებით, სტუდენტობის დროს, როცა
სხვა დასახელების რეზინებიც შემოიტანეს
უცხოეთიდან და მათ უკვე ხალხმრავალ
ქუჩებსა და მოედნებზე ჰყიდდნენ ბოშა
ქალები, გიგი მაინც „Wrigley's“-ს ლეჭავდა
და ამ არჩევანით თავსაც იწონებდა. ერთხ-
ელ, დამწყებ პოეტთა თავყრილობისას,
სცენაზე რომ იხმეს ლექსების წასაკითხ-
ად, ჯიბიდან ბლოკნოტის ამოღებამდე
წამყვანს — გატლექილი ლიტერატორ გოგ-
ოს ყველას გასაგონად ჰკითხა — თქვენ
რომელ კეცს ლეჭავთო? და პასუხის ნაცე-
ლად დაბნეულობა და უხერხული სიჩუმე
რომ მიიღო, ხმამაღლა განაცხადა — პი-
რადად მე „Wrigley's“-სო... საყელოებზე
ღიღებდაკერებული, დიდჯიბეებიანი პერ-
ანგი ეცვა და სულ ცოტა, ორასი გრამი კო-
ნიაკი ჰქონდა „ჩარტყმული“... ლექსების
წაკითხვას რაც შეეხება — ბლოკნოტი, რა
თქმა უნდა, ამოიღო, თუმცა მას მერე კე-
ლავ უცნაურად გაისარჯა; გადაშალა —
ჩააცქერდა, კიდევ გადაშალა — კიდევ
ჩააცქერდა, კიდევ და კიდევ... თან ბუტ-
ბუტებდა — მე ეხლა წაგიკითხავთ... მე
ეხლა წაგიკითხავთ... მაგრამ მას შემდეგ,
რაც დარბაზს თვალი მოავლო და შეკრე-
ბილთა შორის ვერც ერთი ნონკონფორმი-
სტი ვერ აღმოაჩინა, თავი გადააქნია,
ბლოკნოტი დახურა და თქვა, — მე თქვენ
არაფერსაც არ წაგიკითხავთ...

დასაწყისი მე-6 გვერდზე

დაყრილი ნივთებით როგორ ამოეცნო
თვითმკვლეელი ტურისტი. ტკივილგამაყუ-
რებლების და ტრანკვილიზატორების
თავლია ფლაკონები, გამორთული მობილ-
ური ტელეფონი, წიგნის ერთსა და იმავე
გვერდზე ჩატოვებული სანიშნე, შესამჩნე-
ვად ცოტა ტანსაცმელი, მუდმივად ჩამო-
ფარებული ფარდები, ნომერში მოთხოვნი-
ლი დიეტური საუზმე, სამკვირიანი ჯავშანი
და ფლაერი კლინიკისკენ მიმავალი ავტო-
ბუსის გრაფიკით იშვიათად ტოვებდა შეც-
დომის შანსს. კლერმა მარა იმაზეც
გააფრთხილა, თუკი თვითმკვლელს ამ-
ოიცნობ, დაიხსომე, ვერაფერს შეცვლი, ნუ
ჩაერევი და კვალს ნუ დატოვებო.

ასეთი ტურისტები, როგორც წესი,
გაზაფხულზე სტუმრობენ ხოლმე პატარა
ქალაქს, გამწვანებული ტკივილის და
გამძაფრებული კაემნის სეზონზე. ისინი
განსაკუთრებული თვითმკვლელები არი-
ან, რომლებიც არ ცდილობენ ნაცადი და
გამართლებული მეთოდებით თავის მოკვ-
ლას და მტკივნეულ გარდაცვალებას. ისინი
სწორედ ტკივილს გაურბიან და მიაჩნი-
ათ, რომ ღირსეულ სიკვდილს იმსახურებენ
— წარბეუჭმუნხავს, მშვიდსა და საგანგე-
ზოდ დაგვიმოს. თავს აჯერებენ, რომ სა-
სიცოცხლო ციკლის დასასრული ისეთივე
მართავი შეიძლება იყოს, როგორც ახა-
ლი სიცოცხლის ამქვეყნად დაბადება. ამ-
იტომაც სასიკვდილო სენით დაავადე-
ბულები თუ გაუთავებელი ტკივილებით
გათანგულები მშობლიური ქვეყნის საზღ-
ვარს სამუდამოდ კვეთენ და იმ ქალაქში
ჩადიან, სადაც კანონი ექიმსაც კი დაახ-
მარს გაცხადებული თვითმკვლელო-
ბისთვის. ის, რაც მათ მშობლიურ ქვეყანა-
ში დანაშაულად მიიჩნევა, ამ პანია
სამოთხეში ლეგალური მონყალბაა.

ფურცლები ერთმანეთზე დააწყო და დას-
ტა მაგიდაზე დაკვრით გაასწორა.

— იცით, ორი კვირა ბევრია... ახლაც
მტკივა, გესმით? — ჟანმა ფეხი ფეხზე გა-
დაიდო და ათრთოლებული მუხლი ხელით
დაიჭირა.

— წესია ასეთი! თან გაითვალისწინეთ,
ყოველ წუთს შეგიძლიათ გადაწყვეტილე-
ბა შეიცვალოთ. ეს შეხვედრა არაფერს
გავალდებულებთ!

— დარწმუნებული ვარ, ისევე შეხვედებ-
ით ერთმანეთს. არ გემშვიდობებით, —
ჟანმა შუშის დაბალ მაგიდაზე დალაგებუ-
ლი ბროშურები ხელს გააყოლა და სასტუმ-
როში დაბრუნდა.

ნანატრ საგზურს ჟანი მხოლოდ ორი
კვირის შემდეგ მიიღებდა, უარის შემთხ-
ვევაში კი ტკივილთან ერთად გააგრ-
ძელებდა დარწმუნებულ ცხოვრებას და ბუნე-
ბრივ აღსასრულს დაელოდებოდა. ხშირ-
ად ისიც უფიქრია, როგორმე ორი-სამ წე-
ლიწადს კიდევ გაეძღებ საკუთარი ნები-
სყოფის გამოცდის ფასადო, მაგრამ მუდ-
მივად იმის შიში აჩქარებდა, ტკივილისგან
დაუძლურებულს აქამდე რომ ვეღარ ჩამო-
ელნია. ჟანმა კარგად იცოდა ამ მომსახ-
ურების მთავარი პრინციპი: აქ მხოლოდ შენ
იღებ გადაწყვეტილებას, შენ დგამ ნაბიჯს
სიკვდილისკენ, შენ სვამ წამალს. ექიმი მხ-
ოლოდ გეხმარება, შემთხვევით რამე ისე-
თი არ ჩაიდინო, რომ გადარჩე.

ჩამოსვლისთანავე ჟანს ადამიანებთან
ურთიერთობის სურვილი გადაწყვეტილებ-
ის შეცვლის ბუნებრივმა შიშმა კიდევ უფრო
ჩაუკლა. ტკივილისგან მისუსტებულს
პორტიესთვისაც კი ავიწყდებოდა მის-
ალმება, როდესაც სასტუმროს ტოვებდა
და ტყეში სასაეროდ მიდიოდა. მართა-
ლია, არაფერი აეჭვებდა, მაგრამ მაინც
ცდილობდა, ექიმთან პირველი შეხვედრის
შემდეგ ორი კვირა კიდევ უფრო ასკე-

რუსუდან რუხაძე

ყვითელი წვიმის კავატიანა



მარამ ჟანი მაშინვე ამოიცნო, როდე-
საც პირველად დალაგა მისი ოთახი. კლ-
ერის მიერ ჩამოთვლილი ყველა სამხილი
ადგილზე იყო. გვარაინადაც დაიბნა და იმ
დღეს საკმარისზე მეტი დრო მოანდომა
ერთი სტანდარტული ოთახის დალაგებას.
საოცარი მიზიდულობა კი უნახავ მამაკაც-
თან იმ წამს იგრძნო, როდესაც ლოგინზე
მიფენილი პერანგი საკიდზე დაკიდებამდე
სახესთან ახლოს მიიტანა. კლერის
ფრიგიდულობას დააბრალა ის ამბავი, რომ
ასეთ შემთხვევაში არაფრის შეცვლა შეი-
ძლება და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯ-
დომოდა, ჟანი სიკვდილისგან ეხსნა.

ჟანის პირველმა შეხვედრამ კლინიკა-
ში კარგად ჩაიარა, პირველი განაცხადი
უმართავი და გაუსაძლისი ტკივილების
გამო გადაწყვეტილი თვითმკვლელობის
შესახებ სასვებით დამაჯერებელი აღმოჩნ-
და.

— ორ კვირაში კიდევ ერთხელ უნდა
დაგვიდასტუროთ თანხმობა, — ინტერ-
ვიუს დასასრულს თეთრხალათიანმა მა-
მაკაცმა ჟანის გამოკვლევების და ჩატარე-
ბული მკურნალობის დამადასტურებელი

ტურად ეცხოვრა და საოცნებო ფურცე-
ლი ზედ ლათინურად მიწერილი პენტო-
ბარბიტალის სასიკვდილო დოზით ერთ
დღესაც უძილო თვალზე აეფარებინა.

მარამ კი ატმის კვირტივით იფეთქა,
ყვითელი წვიმების სეზონზე კიდევ უფრო
დამშვენდა და სიცოცხლით შეივსო.
ყოველდღიურად გრძნობდა ძარღვებში
ორი ადამიანის სამყოფ ენერგიას და სულ
იმას ფიქრობდა, ჟანისთვის როგორ ეწილ-
ადებინა იგი ტკივილის გასამკვლავებლად.
ამ სურვილებისა და ვნებების მიმოქცევას
ხელს ის უშლიდა, რომ მარა და ჟანი მო-
ნაცვლებით აღებდნენ ერთი და იმავე
ოთახის კარს. მარა, როგორც წესი, უჩინ-
რად ემსახურებოდა სტუმარს. ჟანი კი, რა
თქმა უნდა, წამითაც არ დაფიქრებულა, რა
ფერის თმა შეიძლება ჰქონოდა მისი ოთახ-
ის დამლაგებელს. მარამ მხოლოდ ერთხ-
ელ მოჰკრა თვალი დერეფანში ლიფტისკენ
მიმავალ ჟანს და მზის შუქზე მხოლოდ მისი
კონტური დაამახსოვრდა — გამხდარი
ფეხებით, განწილი თმითა და პერანგის
წამოწეული საყელოთი. ოთახის დალაგე-
ბის შემდეგ მარა პეშეს ტუჩებთან ახლოს

მიიტანდა, სულს შეუბერავდა და ჟანის ოთახს უხილავი პანია ნაღმებით ავსებდა. ტყეში სერიოზობიდან დაბრუნებული ჟანი კი ფანჯარას გამოაღებდა და მარას მიერ დატოვებულ სიცოცხლის ჯადოსნურ ნაწილაკებს უმონყალოდ ანიავებდა.

იმ ორი კვირის განმავლობაში მარასთვის ტკბილად ჭიკჭიკებდნენ ნითელ-გულა ჩიტები, ჟანისთვის კი შემზარავ ხმებს გამოსცემდნენ უსახური არსებები.

მარასთვის საღამოობით ყვითელი წვიმა კავატინას მღეროდა, ჟანისთვის კი ციდან ჩამოჰქონდა ღმერთების სევდა.

მარასთვის დილის ყავა განსაკუთრებით გემრიელი და არომატული გახდა, ჟანისთვის კი მთლად განწყალდა და გაუფერულდა.

მარას სიცოცხლით და ვნებით ავსებდა მზის სხივები, ჟანს კი უკანასკნელ ენერჯის ართმევდა და მზერას უბინდავდა. მარასთვის ჟანის ოთახი მთელ სამყაროს იტევდა, ჟანისთვის კი სულისშემხუთველ დილეგად იქცა.

მარა განსაკუთრებით ეალერსებოდა საკუთარ სხეულს, ჟანი კი სარკეებს მზერას არიდებდა და საკუთარ ნაკვთებსაც ვეღარ იხსენებდა.

მარას სახეზე თბილი ღიმილი დასთამაშებდა, ჟანი კი თავჩარგული და გულდამძიმებული დაიარებოდა.

ექიმთან მეორე ვიზიტმა ორი კვირის თავზე კიდევ უფრო დამაჯერებლად ჩაიარა. ექიმმა ქალამდე მოსაგვარებელ საქმეებთან დაკავშირებით ჟანი კლინიკის იურისტს მიაბარა — ბევრი არაფერი იყო, სულ რამდენიმეფურცლიანი დოკუმენტის ნაკითხვა და ხელმოწერა. ჟანი ტყუილად დაშტერებოდა ფურცლებს, სადაც სამშობლოში ფერფლად დაბრუნების ჩათვლით ყველაფერი დაწვრილებით იყო განწერილი. „ზოგისთვის სიკვდილი სიცოცხლეზე ძვირად ფასობს,“ — ჟანმა საკუთარი გადწყვეტილება თითქოს კიდევ ერთხელ დაადასტურა, როდესაც მომსახურების ხუთნიშნა ფასს დახედა. დანარჩენი არაფერი ნაუკითხავს, თანხმობის ნიშნად ბოლო გვერდზე მითითებულ გრაფაში ხელი მოაწერა და იქვე გაიფიქრა, რომ ეს იყო მისი ამქვეყნიური არსებობის უკანასკნელი დასტური. მერე ასისტენტის მაგიდასთან გადაბარგდა, ნაწნავებიანმა გოგომ არასრულწლოვანის შერთი დაგემილი თარილი და საათი ჩაინიშნა და კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ორი ახლობლის დასწრების უფლება ჰქონდა.

— არავინ დაესწრება, მარტო ვიქნები, — ჟანმა ხელი სავარძლის სახელურზე ჩამოდო და შეკრული მუჭი პირთან მიიტანა.

— თქვენი ნებაა. ნონა შემახსენეთ! — თვალთ განაცხადის ფორმაში იმ სექციას ეძებდა, სადაც ჟანის ფიზიკური მონაცემები იყო შეტანილი.

— ნელა ამწონეს, 70 კილო, — ჟანმა უნებურად დანერვილებულ მკლავს შემოაჭდო მეორე ხელის მტევანი, — შეიძლება უკვე ნაკლებიც, — თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად ჩაივლის, თქვენი წონის ადამიანთან არ გაჭირდება, — ტუროპერატორივით გაუღიმა ჟანს.

— არ ვღელავ, — ჟანმა კბილები მჭიდროდ მიაბჯინა ერთმანეთზე და გაბედულად გაუსწორა მზერა ლოყებშეფაკლულ გოგოს.

— ჰო, კიდევ ერთი — უზმოზე მობრძანდით, წინა საღამოსაც ნუ ივახშმებთ. მშვიდი კუჭი მნიშვნელოვანია ამ დროს, — ასისტენტმა სავიზიტო ბარათი გაუწოდა, თუ შეკითხვები გაგიჩნდებათ, არ მოგერიდოთ, ნებისმიერ დროს დამირეკეთო.

„მშვიდი კუჭი“, „მცირე წონა“, „ყველაფერი კარგად ჩაივლის“ — სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე ასისტენტის სიტყვებს გულში იმეორებდა ჟანი და ხვდებოდა, რომ სიცოცხლის ბოლო დღესაც მხოლოდ ყოფითი საკითხები უტრიალებდა თავში, არავითარი მონანიება და სინანული ჩადენილი ცოდვების თუ მათი ჩაუდენლობის გამო. „მუცლის ღმერთო, შენ ხარ ერთადერთი ბატონი ამ ქვეყანაზე!“ — ხმამალა შესძახა სასტუმროს ნომერში დაბრუნებულმა.

დილით მარამ უკვე იცოდა, რომ ჟანი მეორე დღეს დატოვებდა სასტუმროს.

დროის სიმცირემ თავ-გზა აუბნია, კაბის გამოცვლამდე ჟანის ოთახთან მიიბრინა და კარს ფრთხილად მიაყურადა, თითქოს მისი გულისცემის გაგება სურდა. თუმცა კარის სახელურზე დაკიდებული გამაფრთხილებელი ნიშანი ამცნობდა, რომ ჟანს ოთახი დაეტოვებინა. „Please Tidy My Room, Thank You!“ — მარამ უცნაური სურვილი იგრძნო, რომ ეს ფრაზა უბრალო ტრაფარეტი კი არა, ჟანის მიერ მარასთვის ხელით დანერილი ბარათი ყოფილიყო. მერე კიბეზე ფეხის ხმა მოესმა, დაფრთხა და დასახლისების ოთახისკენ სწრაფად გაბრუნდა. კლერი უკვე ღურჯ კაბაში გამოწყობილიყო, ურიკა დერეფანში გამოეგორებინა და თაროზე ჩამოლაგებულ პირსახოცებს ითვლიდა. აფორიაქებული მარას დანახვისას თითქოს რაღაც ენიშნა და გამაფრთხილებელი მზერით გახედა. მარამ თავი მალე მოინესრიგა, ურიკის თარო ნაკლებად დასაუფრთხა და მამპუნებით შეავსო და სამი ნომრის გამოტოვებით პირდაპირ ჟანის ოთახის დასალაგებლად გაემართა.

— Room Service! — ხმის ტემბრი შეიცვალა, კაბის ჯიბიდან პლასტიკური გასაღები ათრთოლებული ხელით ამოიღო, კარი შეაღო და ჟანის საწოლზე დაემხო. გარდერობის კარზე აკრულ მალალ სარკეს გახედა და იფიქრა, ყველა სტუმრის ანარეკლს რომ ინახავდეს, ჟანის იქნებოდა ახლა ყველაზე მკაფიო და სახეს დაფუკციანი. აბაზანა სწრაფად დაასუფთავა, ონკანთან დარჩენილი თითბერის ბეჭედი მაჯაზე მჭიდროდ მიიბჯინა და ზედ ამოტიფრული ღრინაკალი მსუბუქად დაიმჩნია ნამზუურ კანზე. მერე სუფთა პირსახოცები თაროზე ჩამოალაგა, ძირს დაყრილები ნამოკრიფა და ჯერ კიდევ შერჩენილი სისვენის შუბლი დაიგროლა. ტუმბოზე დაყრილი ნამლის კოლოფები სიდიდის მიხედვით დაამწკრივა, საუზმის ნარჩენებსა და კლინიკის ფლაერებს კი ნავაგში გადაუძახა. საქმეს რომ მორჩა, უღონოდ ჩამოჯდა საწოლის კიდეზე, ამობრუნებულ ხელის მტევნები მივიდა ოთახის კარამდე და სამიველი ჩაკეტა. უკან შემობრუნებულმა თვალი იქაურობას კიდევ ერთხელ მოავლო, სარკეს მიუახლოვდა და საკუთარ სხეულს მზერა ააყოლა. დიდხანს არ უფიქრია, ნელზე გრძივად ჩადგმული შესაკრავი ნელა შეისხნა, ხელები ჯვარედინად წაივლო ილიებში, მაქმანის-საყელიანი ლურჯი კაბა მზუთავი სკაფანდრივით გაიხადა და ღრმად ჩაისუნთქა. საკუთარ ანარეკლს ზურგი აქცია, საწოლს მიუახლოვდა, ჟანის ბალიში ბავშვივით ფრთხილად აიყვანა ხელში, სავსე ძუძუებზე ნაზად მიიკრა და მორინგას ყვავილების მსუბუქი სურნელი დატოვა კვალად. მერე ბალიშის ქვეშ დატოვებული მობილური ტელეფონის ჩაბნელებულ ეკრანს დახედა, პატარა ფურცელზე გამოყვანილი ასოებით დანერა Connect your charger და ტელეფონს ქვეშ ამოუღო ბარათი. საკუთარმა სიმიშველმ პირველად დააფრთხო, კაბა სწრაფად გადაიცვა, საკიდზე ჩამოკიდებულ ჟანის პერანგს თვალდახუჭულმა საყელოზე აკოცა და უხილავი საკენკებით მოფენილი ოთახი გულამომჯდარმა დატოვა. ნაშუადღევს დაბრუნებულ ჟანს უჩვეულოდ მშვიდად ჩაეძინა, ზუსტად ისე, როგორც წლების წინ შეეძლო — ბალიშზე ჩახუტებულს, მუცელზე გართხმულს, პირლიასა და ფეხებგაშლილს.

ჩამავალი მზის დისკო ნაძვების კენწეროებს რომ შეეხო, ახალგაღვიძებული ჟანი დამძიმებული ნაბიჯებით ტყისკენ მიმავალ გზას გაუყვა. თან გაიყოლა მუცლის ღმერთი და გზადაგზა მის სხეულში გამოკრული ხმელი ყვავილების სურნელს ღრმად იყნოსავდა. ტყის სიღრმისკენ სვენებ-სვენებით შეუყვავა და ნაძვნარის ყველა ბილიკი თვალს რომ მიეფარა, მისუსტებული კუნძზე ჩამოჯდა. გაბმული ტკივილის პასუხად თვალები მაგრად დახუჭა, ბოდიშისა და მაღლიერების ნიშნად კი ნაჭრის თოჯინას ვეება მუცელზე ოფლით დაცვარული შუბლი მიაღო. მერე მინაზე დაანვიცა, ხმელი გირჩები შემოულაგა და ცეცხლი ნაუკიდა. თვალზე ხელები აი-

ფარა, ტირილი ვერ შეძლო და ტყის მდუმარებაში ცეცხლის ხმას მიაყურადა. მუცლის ღმერთი ჟანის ერთადერთი ამქვეყნიური მცველი და განუყრელი თანამგზავრი იყო, ახლა უკვე ცეცხლს მიცემული უკან დასახევი უკანასკნელი ხიდი. კვამლისგან აცრემლებულ თვალზე უცხო ხელების შეხებამ სულ არ შეაკროთ, საკუთარი მტევნებიც ზედ დააფინა, ნელში უმწეოდ მოიხარა და ზურგზე ქალის მფეთქავი გულ-მკერდი იგრძნო... ამაოდ ელოდა იმ საღამოს ფერმკრთალი ბიჭი მარას მალაზიაში და ტყუილად შეავსო თარო ყველის საუკეთესო ნაჭრებით. მარას ველოსიპედი დაღამებამდე იდგა ტყის პირას, ჟანმა კი თეთრად გათენებულ უკანასკნელ ღამეს საკუთარ თავთან მაინც ალიარა, რომ ქალებსაც შუქლიათ ნაწვიმარ ტყეში ცეცხლის დანთება.

მეორე დღეს, სასიკვდილო კოქტეილის მიღების შემდეგ, თეთრკედლებიან ოთახში მწოლიარე ჟანს ექიმმა დაცლილი ჭიკა ჩამოართვა და ტუმბოზე ფრთხილად დადგა. მერე ნაზად დააფინა თითები მაჯაზე პულსის შესამოწმებლად, მაჯის საათზე მიმტერებული თავს რიტმულად აქნევდა იმის ნიშნად, ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროაო. ჟანი წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ რამდენიმე წუთში წავიდოდა სამუდამო ძილისკენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ იქნებოდა მშფოთვარე. ეს იქნებოდა ყველაზე უმტკივნეულო, მშვიდი და უდარდელი წუთები მის ცხოვრებაში. ანხის ამულეტზე ჩაბლაუჭებული ჟანიც ფოკუსდაკარგული მზერით მოუთმენლად ელოდა, რომ ექიმის ხატს ვინმე ზეციური ჩაენაცვლებოდა, სულს გადაიბარებდა, ერთად გაფრინდებოდნენ და ღრუბლების ზემოთ მზიან უსასრულობაში ამოყვინთავდნენ. უკანასკნელ ცნობიერ წამს ჟანს არაფერი სტკიოდა, მხოლოდ წინა დღეს ზურგზე ხმელი გირჩებისგან დატოვებულ იარებს გრძნობდა მსუბუქად. ზეციური მხსნელის ნაცვლად კი მარას ხედავდა, შარავანდედის მაგივრად გვირგვინის გვირგვინი რომ ედგა თავზე და ზუსტად ისე ირწოდა მის სხეულზე, როგორც იმ საღამოს ნაწვიმარ ტყეში.

რამდენიმე წუთში მოდუნებული მტევნიდან გადმოვარდნილი ვერცხლის ანხი მეტლახზე განკარუნდა, ექიმმა ნილაზი ჩამოიხსნა და ზუსტი დრო ჟანის ანკეტის ბოლო გვერდზე ჩაინიშნა.

ის ღამე ელიზამ ისევ წიგნის კითხვაში გაათენა და დიდხანს ელოდა დედის გაღვიძებას, რომ სამსახურში წასვლამდე ერთად ესაუზმინა. ჩაიდან ცეცხლზე შემოდგა, მარას საძინებელში ჩუსტების ფრატუნით შევიდა, ფარდა გადაწია და კედლისკენ მიბრუნებულ დედას მხარზე აკოცა. მარა თვალდახუჭული წამოდგა, აბრეშუმის ხალათი მოიცვა, ანეული თმა ფანქრით შეიკრა და სარკეში საკუთარ გამოსახულებას ბალიშის დამჩნეულ ნაკეცზე ნაზად ააყოლა თითი.

— მისმინე, ელიზა, დიდ ქალაქებში გრძელი გზებია, — ელიზას ნიკაპზე მოკიდა ხელი, მზისკენ მიაბრუნა და უძილო თვალეში ჩახედა.

— ჰო, დე... — ელიზამ უძილობისგან გამომშრალი თვალები მოიფშვინტა.

— შენისთანა ინსომნიაკი დიდ ქალაქ-

ში უნდა ცხოვრობდეს, ელიზა! — ელიზამ ზეპირად იცოდა დედის საუკეთესო გამოსვლის ტექსტები.

— ისევ იგივეს იმეორებ, დე! — ფარდას ამოეფარა ელიზა.

— იქ გვიან იძინებენ და ადრე იღვიძებენ. აქ სიგიჟეა ღამეების თენება. ყველაზე ფერმკრთალი შენ ხარ ამ ქალაქში! — მარამ ფარდა ჩამოაფარა, რომ ჟღალთმიანი მამაკაცის მზერა ელიზასთვის აერიდებინა.

— ფერმკრთალი გოგოებიც შეიძლება ბედნიერები იყვნენ! — სახე ახლოს მიუტანა ელიზამ დედას.

— მხოლოდ დიდ ქალაქში, ელიზა! რაც მეტს წაიკითხავ, ეს ქალაქი ვეღარ დაგიტევს. სამაგიეროდ, კაბებს გადაიყვარებ და შენი ბარგი სულ ერთი ხელჩანთა იქნება, — მარამ წინა საღამოს საძინებელში მირთმეული ვახშმის ნარჩენები ლანგარზე მოაგროვდა.

— როგორ ვერ დამიტევს, შენსაზე ორი ზომით პატარა კაბები მაცვია — ნიშნისმოგებით გახედა ელიზამ მარას ნავახშმევს.

— მისმინე, სულაც არ ვზუმრობ. სიბერე ყველგან მოგაკითხავს, იცოდე. თმა ოდეს-ღაც ბზინვარებდა დაკარგავს, აზრი არ აქვს აქ დარჩენას, — მარამ თვალს წრიულად მოავლო თითები და ჩამქრალი მზერა სარკისკენ გააპარა.

— ნავალ, დე, მაგრამ ჩემ თავს მაინც ვერსად გავექცევი, — ელიზამ საკითხავი სათვალის დაორთქილი შუშები კაბის ბოლოთი განმინდა და ამოღამებულ თვალეზე მოირგო.

— ამ ხალხს გაექცევი, ელიზა. სხვები აღარ იცხოვრებენ შენი ყოველდღიურობით. სამაგიეროდ, შენ აუნყოფ ფეხს ქალაქის მოგუგუნე რიტმს და კიდევ უფრო გაიზრდები და დამშვენდები! — მარამ კაბის საყელო გაუსწორა ელიზას.

— ერთ წრეზე ვბრუნავთ ჩვენ და დედამინა, მერე ჩემი გოგო ისევ პატარა ქალაქში დაბრუნდება, — ელიზა დაბზრიანდა და თეთრი კოპლებით მოჩითული კაბა ჰაერში გაშალა.

— ელიზა, მომისმინე, ბიბლიოთეკაში სამსახურს იქაც იშოვი. ყველას ჰგონია ღამის ცხოვრებით განსხვავდება დიდი და პატარა ქალაქები. ჩადი და იქ ნახე დილა როგორია, ცხოვრებას თავიდან შეგაყვარებს! — მარამ ტელევიზორი ჩართო დედაქალაქის ახალი ამბების გასაგებად.

— პარიზი, ბრიუსელი, ამსტერდამი, — ელიზა აღარ უსმენდა დედას, ოთახის აღმოსავლეთ კედელზე გაკრულ რუკას მისჩერებოდა და ხმამალლა გაჰყვიროდა დიდი ქალაქების სახელებს. თითქოს მათ სახელებში დატეული ენერჯით ცდილობდა იმ ადგილის შერჩევას, სადაც ახალ ცხოვრებას დაიწყებდა.

— რომი, ლონდონი, ვენა! — მიეშველა დედა, — აირჩიე, რომელიც გინდა, ყვითელი წვიმების დაწყებამდე გაასწარი, ჩემო გოგო, და უკან აღარ მოიხედო! — მარამ შუბლზე აკოცა ელიზას და სამზარეულოსკენ უხმო.

მეორე დღით რკინიგზის ბაქანზე ელიზა სკოლის ბავშვივით ათამაშებდა წიგნებით სავსე ყავისფერ ჩანთას ქარვისფრად მომინანქრებულ საკეტებთან და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, იყიდებოდა თუ არა დიდ ქალაქში ჯანჯაფილის ხრამუნა ორცხობილები, დედა რომ ახვედრებდა ყოველ დილით საუზმეზე.



თანამედროვე ლიტერატურული პოეზია



ანტანას იონინასი

უფლის კვალი ლაქაშვი

ტბის ცივი ტალღები არწევნ იხვებს, კრთის ცის აკვარელი, ბრუნავს ანარეკლი და გულში იხვევს, წუთს, სადაც იგრძნობა უფლის ნაკვალევი.

ქრება ღრუბელი მზით შენაფერი, გაივლის დრო, მზე ამოაშუქებს, ორად იყოფა ტბის ზედაპირი, როცა ოქროსფერ ზოლს ცა აჩუქებს.

მკვდრის ანარეკლი ამოიშალა, ჩანს თავისქალა როგორც ნიჟარა და ტბაში, სადაც ნანაობს ნავი, თვალს ტალღის ლუპა რომ აბარია, ტალღისხელა ჩანს მეთევზის ნავი, ნავი და ტალღა თანაბარია.

ბისკაინსკის შემოღობვა

მე რომ ვარსებობ, ჯერ ვერ გავუმხელ, იგი ხომ ზღვაა და მიხვდეს თვითონ, აბა მე ვინ ვარ?! ვერ მივიზიდავ, ის თუ არსებობს, შიშით მათ ზიდონ.

ირონია — ეს თამაში ციურ ღრუბლების, ვეთამაშები მხოლოდ იმას, რომელიც მირჩევს, რომ ჩავეჭიდო აბლაბუდას, ან თივის ღეროს, ფრინველის ბუმბულს ან ნაძვის გირჩებს,

მზის ბოლო სხივს და შეშლილის ბოდვას, რომ გადასანსლავს ცეცხლსა და ცოდვას, ცას მოატარებს მზერას შენისლულს,

ველარ მოვედი, რადგან არ მსურდა, დავაკვირდები მოღწეულს სულთან, გრძნობს მარგალიტის წვეთი ხელისგულს.

თაბაშირის ფიგურა პარკში

ეალერსება იასამნებთან მდორე მზის ჩასვლას ცელქი ამური, აუჩქარებელ ლაციცს დანებდა კადრი ცოცხალი და საამური.

როგორ სწორდება წელში ბალახი, სალამოს პირველ წუთის დანახვით ეთამაშება სიო სინათლეს, მენამულისფერს როცა ინატრებ.

მზის სამკაულთა ყოველ ნათებას ამური ჩუქნის ოქროსფერ ღიმილს და მზის ნამცეცებს აღმატება მზემდე გაბმული მზისფერი სიმი.

პარფიუმერიის შლეგურ რეკლამებს, ჩვენი თვალეუბი აირეკლავენ.

თარგმან მივი აღსაზიჟილია

დუმილის ტრამალზე დაეშენ და პაემნის ადგილები დაივინყეს, ერთს ძალის აჩრდილი აუდევენა, მეორეს ქარი და კაეშანი. დაეშენენ სამყაროს ბჭეებიდან ორი საბოლოო ფოთოლივით, ფშინავდა ბალახი გათელილი და ღამის ისე ნაზად შეებინდა მათი ნაცრისფერი სახეები, რომ თვითვე შეათრო ამ სასმელმა, ფრთხილად მიიკრა და დაასვენა, შესუდრა სიზმრების სახვევებით. უმანკო სივრცეებში ცა აყვავდა, მათი სააქაო გათავდა.

სიჩუმი

ბაგე მოკუმულია სიჩუმით და სიტყვებიც — უსარგებლო, ზედმეტი, სულის ქაში მარხია, სარკეები ცარიელ დაღლილ თვალეებს ირეკლავს, ციდან მოდის ზამთარი ნაცრისფერი მარხილით. სურვილისგან დაცლილებს დიდხანს ფრენა მოგვიწევს, ხსოვნაც გამოგველია — რა გვნადა და გვიყვარდა, სიშორეში ვეშვებით ნელა, უმისამართოდ, იქნებ არც ვარ, ან თუ ვარ როგორი და ვინ ვარ და აღარაფრის შეცვლა მსურს, ტანჯვაც გამიიფდა.

თარგმან ნინო სადღოპლაშვილა



გიტის ნორვილასი

შენი სხეულის უდაბნოში ფხვს მივართვედი

შენი სხეულის უდაბნოში ფხვს მივართვედი, აქლემს ჭიპიდან ვარწყულვდი, ღამით ქარებს ვემაღებოდი შენი მკერდის დიუნებს უკან, იქ, სადაც ცხელი კანის ქვეშ თვლემდნენ გველები და მორიელები. იერიქონის ვარდებს სწყდებოდათ ხმელი თავები. შენი სხეულის უდაბნოში ფხვს მივართვედი, ის იცვლებოდა, ვარვარებდა, იკრუნჩხებოდა. არ არსებობდა მიზანი, ის ბოლო ნერტილი, სადაც ნამდვილად არის სიკვდილი, არის სიმშვიდე. თავსზემთ ცოდვილი წეროები წრიალებდნენ, მზე აჭერდა, ირგვლივ ერთი ჩრდილიც არ იყო, რომ ხავსივით მოჭიდებოდი. მე ვიყავი კალია, რომელიც დილის ცვარ-ნამის დაპკურებას ელოდება თავის წამწამზე. შენი სხეულის უდაბნოში ფხვს მივართვედი, გამირბოდა მზერა სიკვდილის ხეობისაკენ. გზას მაჩვენებდა ხალხების და კაპილარების ციური რუკა, დატანილი ბრმა ტოპოგრაფთა მარჯვე ხელით. დიდი დათვი ჩახჩახებდა ფერდის მხარეს. ვეძახდი მშველელს და ვღრიალებდი: „საშიშა შეშლილობა — არაფინაა, გზას დაეკითხო...“ და ეს ჰგავდა ცარიელ ქაში ჩაძახებას — ზიგზაგებით მივიდიოდი, მსურდა კვალი ამბნოდა, აბა სხვა რისთვის ვიბადებთ... ცხოვრება აქლემის კუხეშია. შენი სხეულის უდაბნოში ფხვს მივართვედი, ვწრიალებდი, სანყის წერტილს ვუბრუნებოდი, როგორც თვითმკვლეელი უბრუნდება თავის ტაბურეტს. ვნება ყელზე ყულფს მაცვამდა, ხოლო ღამე ამ ყულფს მიჭერდა. აქლემი წყალს სვამდა და სვამდა, მე ვლოცულობდი: „საშიშა შეშლილობა — არაფინაა, გზას დაეკითხო...“

ალიონზე ქვიშის გრიგალი ამოვარდა — და აი რა — შენ იდექი დერეფანში სარკის წინ და უდარდელად თმას ივარცხნიდი.

მონოლოგი კასრის ძირიდან: დიადი პრივატიზაციები

ეკლესიამ მიითვისა რწმენა, ღმერთი და მისი ნყლულებიც კი,

ძვლები და სასნაულები. თემიდან მიითვისა სიმართლე, თუმცა მხოლოდ სამართლიანობა ერგებოდა. ანარქისტებმა მიითვისეს ამბოხი, თავისუფლება და ყველაფერი ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ — ყველას საეჭვოდ თვალს ჭრის მათი ნაპატივები სახეები. ძენ-ბუდისტებმა მიითვისეს სიცარიელე მთელი თავისი მიშვებულობითა და ლიტონი სიტყვებით.

პარულსკისმა პრივატიზება მოახდინა სიკვდილისა და ცხედრების — და ახლა დილით ვერავის იპოვი, რომ მიესალმო ან მასთან ერთად კათხა ლუდი სადმე ჩაცალო. კაიოკასმა პრივატიზება მოახდინა მწერების, მათი ოცნებების და მსგავსი წვრილმანების — იმ ყველაფრის, რაც სამყაროს მართავს. მარჩენასმა — ანგელოზების და თითქმის ყველა ბანალობის. მარცინკიავიჩუსმა და მისმა თანამზრახველებმა — სამშობლოს ქიმერის და ენის, და პირის გაღებისა და საკუთარ პატარა ქვეყანაზე სიტყვის დაძვრის უფლება ჩამოართვეს ყველას, თითქოსდა მხოლოდ მათ ებოძათ ამის კეთების ცოდნა და სიყვარული. კოჭლების ბრმა წინამძღოლები! — სხვას ვერას იტყვი. გრაფომანებს უპყრიათ რუპორები,

მათ იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს მთელი ვაგონი მელანი და ჩაახრჩვეს შიგ მემანქანე.

გრაბალმა პრივატიზება მოახდინა მაკულატურის წნების, რითაც პრესავდა წიგნებს და ახლაც მის გარეშე არ შეუძლია. მილოშმა პრივატიზება მოახდინა ულროს მინის, რომელმაც შემოიფარა ბავშვობაში, კრიაკენავში, ნიავეჟისთან ახლოს, ახლა კი უსახლკარო დავრჩი. გიადამ პრივატიზება მოახდინა, არსებითად, ყოველივე დანარჩენის, ის ახლაც სრულიად უცნობი ტერიტორიების აღმოჩენითა დაკავებული, თანაც ჩვენი მამონტების ძვლებით ღობავს — რატომ ჩამოგიყრიათ ასე ყურები? ამის გარეშეც ხომ ცხადია თქვენი უნიჭობა... კაი ვინმეა... ამასწინათ სიზმარში ხიდქვეშ ვიმუსაიფეთ, ლეთას წყალიც კარგად მოვეყურნეთ. მიშომ იდიოტების ჯგროსთან ერთად პრივატიზება მოახდინა სპირტიანი სასმელების, თრიაქის და თავის მოკვლის ყველა იმედის, ამიტომ, როგორც არასდროს, ისე ყოჩაღად რომ ვგრძნობ თავს ახლა და გული მიგრძნობს რომ ყველაფერი კარგისკენ წავა, „მე მოვკვდებიცენ“, ხრწნის პროცესის გასხივოსნებისკენ.


კითხვა ჩნდება: ნამეტანი ახალგაზრდა ხომ არა ვარ ამისათვის? და ჩვენ რალა დაგვრჩენია? რას გვიტოვებთ თქვენ მე და ჩემს ძმებს? და ჭიანჭველას, აი, იმას — ზურგზე რომ წევს, გაჭირვებით მილოღავს და ფეხ-სახსრებით თავზემთ კასრის თავსახური დაუჭერია.

მე კასრის ფსკერზე ვზივარ მყარად და თვალს ვადევნებ ამ ჭიანჭველას — რომლის შრაშუნიც ჩემთვის ყველაზე მელოდიური მუსიკაა.

ვზივარ, ვუსმენ, იმავე ტაქტში ვაკრატუნებ კბილებს და ველი, ზეციური სანახებიდან გულიანად მოხიბთითე, გაბრუებული ღმერთი როდის ჩამოვარდება, ნაციონალიზაცია რომ მოაწყოს საყოველთაო.

თარგმან შოთა იათაშვილა

ვიქტორას რუჟანსკასი



ლიმონის კანზე სრიალებენ ჩემი თითები დო-დან დო-მდე, ვილნიუსის იერუსალიმიდან ნითელსოფლამდე და კეთილი იმედის გამზირამდე* ფერმიხდილ ტროტუარის უიმედობამდე, შენს ხელებში მოქაფტაფე ყავა Lavazza-მდე.

როგორც რომაელთა შთამომავალი ტოგას, ხელის მარჯვე მოძრაობით ვცდილობ აჩაჩული პერანგი გავისწორო.

მე ბავშვობაში კარგი შვილი ვიყავ, — ასე ამბობდა დედაჩემი, მაგრამ არავინ უჯერებდა. თითებით, სიტყვითა და მზერით უქიმუნჯებდნენ, წარსულიდან, იმ დღეებიდან კი თითქმის აღარაფერი დარჩა, ესენინის გარდა.

დედა ამბობდა და მე — თითქოს არაფერი მესმის და ვერ ვხედავო, — გუნებაში მხოლოდ და მხოლოდ ესენინს ვკითხულობდი.

დედა ტიროდა და ისინი იყვნენ მართლები.

ღმერთო ჩემო,
 ტყვიასავით ჩამომძიმებული ხელ-ფეხის
 აქავებული კუნთები
 არც გულს, არც გონებას არ ემორჩილება,
 ერთადერთს ავტომატიკას
 დავეყვარ გადაცრეცილი უიმედობის ტროტუარით
 და იმასაც —
 სვენებ-სვენებით, ხარვეზებით —
 დო-დან დო-მდე და მერე ისევ დო-მდე.

ქარი ისე მწარედ მიწინავს თმას...
 აშრილებს
 ყორნის ქალარა ბუმბულივით.

რა კარგია, რომ დღეს ველარ მხედავ, დედა,
 გულში ლექსების ნაცვლად
 ესენინივით
 მეც
 ტყვია მაქვს გაჩრილი...
 წითელსოფელში ყოველ ღამე გასროლის ხმა ისმის,
 სვიტრი წესრიგში მაქვს,
 მაგრამ თითქოს სულის ხუთვის ზღურბლთან,
 ფეხები
 „კეთილ იმედთან“,
 ყინულზე მიცურავენ
 კაფესაკენ მიმავალს,
 სადაც ბარბაროსულად გადავხუხავ ყავას
 და ფეხი ლიმონის კანზე ამისრიალდება.

რა პროზაულია ეს ყველაფერი, დედა
 და რა კარგია, რომ ახლა ვერა მხედავ!

მე კი
 თითქმის თვალთ უხილავსაც ვარკვევ, —
 წარმოსახვაში,
 დო-დან დო-მდე
 მოცურავე თითებს....

**იერუსალიმი, წითელი სოფელი და კეთილი იმედი — ვილნიუსში უბნების
 სახელებია. თუმცა ლექსის იერუსალიმში შესაძლოა მეტაფორულად ნამდ-
 ვილი იერუსალიმც იგულისხმებოდეს, წითელსოფელში კი, რომელიც ლიტვაში
 საბჭოთა არმიის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი რაიონი იყო, ასევე
 მეტაფორულად, ძალადობის, სისხლიანი ტრაგედიების კვალი განზოგადდუ-
 ბოდეს. „კეთილ იმედში“ მდებარეობს ნარკოდამოკიდებულთა გამაჯანსაღე-
 ბელი ცენტრი. ამის გათვალისწინება საჭიროა ლექსის ლირიკული გმირის ტრა-
 გიზმის ასახსნელად.*

თარგმანი გიორგი ლოპანიძე



ლიუტაურას დეგესისი

ქა-ნიჰილი

რა მცირეა და
 რა უსასრულოც
 ღვთისხელა, ლამის
 არაფრისხელაც
 და ჩიტისგულის გამაყრუებელ
 ხმით ძგერს სამყარო,
 რომელშიც ვმღერი,
 მიყვარს და ვლეღავ.

სიცოცხლისპირულ
 თვლემასი ღღვება
 დღეები — ყინულს
 ცად ვინ გაადნობს?
 დასანანია, რომ ვერ ვცვლი
 ბედს და
 ჩემი ვედრებაც ჰგავს
 თეთრ დანათოვს.

შენდაი

გაგახსენებდეს
 ჩემს თავს სიზმარი,
 ბაგეებს ეს მზე
 დაგვიშაშრავდეს.
 სხეულებს ძრავდეს
 საერთმანეთოდ
 შორს ამ მზაკვრული
 კომფორტიდან
 სიყვარული —
 დე, დამნაშავე.

დე ვიქცეთ ერთხორც
 და ერთ სულ ვიყოთ,

დღე ჰგავდეს მზერას
 მზისას, დამშანთავს,
 როცა სიზმრიდან
 მოვბრუნდებით და
 სულებს სიცოცხლის
 ეშხი დაშაშრავს.

ქალარა ღამე

არარსებულზე, მიუნვდომელზე
 მანიშნებს ღამე
 თეთრად ნაკვეთი,
 რადგან ჯერ კიდევ ვხედავ
 მის სიზმარს
 და დავინყებთ სალამურის
 მესმის ნაკენესიც,
 ნიშნავს, რომ ვცოცხლობ,

ველი წყალობას,
 განა დიდებას ან უფლის ლოცვას,
 შენს დუმილს ვირჩევ,
 დამიგე იგი,
 არყოფნისაკენ თუ სამოთხისკენ —
 შენსკენ
 მომავალს მიხილავ როცა.

რამდენი დღეა
 გამუდმებულ სირბილში
 რა დღეები გამქრალან,
 ქცეულან სევდიანი
 გამოხედვის ნაქარად.
 თავიც დაიშუნათო,
 ბევრიც იჭირვეულო,
 ვერაფრით დაიბრუნებ
 იმ დღეებს, უჩვეულოს.
 უცხო და სხვა სიმშვიდეს
 სული უკვე ვერ გუობს,
 ისევ იმ დღეების ხმა
 უნდა, რომ მოეყუროს.

თარგმანი მარიამ ნიკლაშრა



ვიოლეტა შობლინსკაიტე

რაკოლქცია წმინდა იოანეს ღამის

შენს არყოფნას ვინ ახსენებდა
 ღამით,
 მით უფრო ივნისის ღამით,

როდესაც ჯერ არ ჩამქრალა მთვარე,
 ხოლო მზე არ გაბრწყინებულა,

როდესაც ჯერ არ სძინავთ ბაყაყებს
 და ტოტები კი თვლემენ. სიბნელე
 ისე ცოტა და თან იმდენად ბევრი აღმოჩნდა,
 როგორც ღვინო საუკეთესო.

უკომპასოდ ცურავენ ცაზე
 ღრუბლები, ღრუბლის ქარავანი,
 საითაც სურთ, მიიწვევიან.
 დაბლა ყვავიან ვარდები და
 უასმინის ველზე,
 საქონლისაგან შეუჭმელი,
 ცვრით ინამება მძინარე ძირა.

ახლა ხალხს სძინავს,
 ადამიანს კი — არა,

ფეხშიშველია ეზოში,
 ნამში,
 პერანგი მოსავს.

ვედრება. მტვრევა ზეცის მამულზე
 თეთრი კარიბჭის...

ამ ღამეში, განსაკუთრებით,
 ვინ გახედავდა მას, რომ ეთქვა
 შენი არყოფნა,
 სიკვდილი შენი,
 ალბათ მხოლოდ სრულად შეშლილი.

გამომავხიზლა ძირას ჩაიმ,
 ბუჩქის ძირას,
 ნესტიანი ტირიფის დაბლა,
 შორს, შორს შენგან და იასამნისგან,
 რომელიც ყვავის.

მე არ ვიცი რა ესიზმრება
 ამ საღამოს მიუსაფარ შვილს,
 რომლის ყვირილიც მესმოდა ადრე
 ექვსსახლიან სოფელში,
 გაბრუნებულს ოქტომბრის ნისლით
 და შეშინებულს,
 რომ სამყარო ველარასოდეს
 გამოვა ამ რძის ბურუსიდან,

რადგანაც უკვე
 მზე და მთვარე და ვარსკვლავები
 გარდაიცვალნენ,
 მიკვდება გულიც

და რჩება მხოლოდ სიბნელე, სადაც
 ზანტად ბლავის შველი.

მე არაფერი ვიცი ამდენი
 წლების შემდეგაც, როცა ვუცქერ სიბნელეს, ვხედავ
 გარეთ სისხლივით შედედებულ ბნელს
 და ერთი აზრით ვარ შეპყრობილი,
 დროს ვკარგავ და რალაცას ვცდილობ,

ის ქარისაგან აშლილი არყის
 ტევრის გავლით იჭრება შველის სიზმარში, თითქოს
 ჩვენ ორივენი ჯერ კიდევ ვცოცხლობთ
 და გვაშორებს მანძილი მხოლოდ
 ერთმანეთისკენ გაშვერილი ჩვენი მკლავების.

თარგმანი თორნიკე ჭელიძე



მინდაუგას ვალიუკასი

1
 საღამოს პარკი.
 მე და კოლოები —
 ერთი სისხლისანი

2
 ხუთი ფოთოლი ნეკერჩხლისა —
 ქვიშის ნამცხვარი.
 პატარების სავაჭრო ცენტრი

3
 ლუდი და კეფირი —
 მამა და ბიჭი მაგიდასთან —
 ორი უღვაშა

4
 ფუტკრის სურვილი უკანასკნელი:
 კიდევ ერთხელ ნახოს
 ქრიზანთემა

5
 ეს ქარი ზამთრის
 ვერა და ვერ
 გადასწვდა მინდორს

6
 ნვიმების დროა.
 აგერ პიონი —
 დამპალი ხორცი

7
 ნისლი ჩამოწვა.
 საღაა
 თქვენი ნამდვილი სამყარო

8
 წვიმს.
 აი შენც რწყავ
 რაფაზე ყვავილს

9
 გაზაფხულის საღამო.
 დედაბერი ქუჩისპირა ყვავილნარიდან
 იპარავს მინას ალოესათვის

თარგმანი ზაზა გიბილაშვილი

ქეთევან ღუმბაძე

მკითხველი არასოდეს არის ბევრი, მით უფრო — ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში. მაგრამ ნამდვილად, პროფესიონალ მკითხველს სულ უფრო მეტი საზრდო სურს, ის გაფაციცებით ადევნებს თვალს ლიტერატურულ პროცესებს, ცდილობს, არაფერი გამოეპაროს. მწერლები კი ცხოვრობენ იმისთვის, რომ ჰყავდეთ მკითხველი. საქართველოში დიდი ხანია, შეწყდა ეს სასიცოცხლო კომუნიკაცია დედაქალაქისა და რეგიონების ინტელიგენციას, ინტელექტუალებს, მწიგნობრებს, კალმოსნებსა და მკითხველს შორის. ეს არაბუნებრივი, სამწუხარო დაცილება დაეცო თანამედროვე სიტყვას, ღირებულებებს, მხატვრულ ტექსტებს, კულტურულ ცხოვრებას. სწორედ რომ დროული და ძალიან აუცილებელი იყო, მწერლები დაძვრულიყვნენ დედაქალაქიდან, როგორც ცოცხალ, მოსიარულე წიგნებს აედგათ ფეხი, მოეველოთ მთელი საქართველო და ეპოვათ თავისი მკითხველი, რომელიც თითქოს ახლოს არის — ხელის განვადნაზე და, იმავდროულად, ძალიან შორსაა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და მხარდაჭერით ამა წლის 14 აპრილს, დედა ენის დღეს, დაიწყო პროექტი „ცოცხალი წიგნები“, რომლის ხელმძღვანელია ქეთევან ღუმბაძე — კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ლიტერატურის დავში, კურატორი კი მწერალი მარიამ ნიკლაური გახლავთ. „ცოცხალი წიგნებზე“ „ლიტერატურულ გაზეთს“ ქალბატონი ქეთევანი ესაუბრა.

— რას ნიშნავს „ცოცხალი წიგნები“ და როგორ განიხილავთ პროექტის იდეა?

— „ცოცხალი წიგნები“, როგორც იცით, დაიწყო 14 აპრილს და გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე. პროექტის ორგანიზატორი და ფინანსური მხარდაჭერი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. რაც შეეხება იდეას, ის წარმოშვა პრობლემამ — მწერალსა და მკითხველს შორის განწყვეტილება კავშირმა და მისი აღდგენის დიდმა სურვილმა.

მქონდა ბედნიერება, მწერალი ოჯახში მყოფი. ლამის ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა მამას მეგობრებთან, იმ კალმოსნებთან, ჩვენს ოჯახს რომ სტუმრობდნენ. მასსოვს მათ მიმართ მკითხველის დამოკიდებულება. შევსწრებივარ, როგორ სცნობდნენ მათ ქუჩაში, დღეს კი ვხედავ, რომ სახეზე კი არაა, ხალხმა თანამედროვე ქართველი მწერლების სახელები და გვარებიც არ იცის. არაერთხელ მითქვამს, რომ ამ პრობლემის მოგვარება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბევრად არის დამოკიდებული მედიაზე. 20 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ტელევიზიაში — მართალია, ვცდილობდი მწერლებზე მომეზადებინა სიუჟეტები და ბევრიც მომიზადებია, მაგრამ პრობლემას ვერ მოაგვარებს საინფორმაციო გამოშვებების დასასრულს, ამინდისა და სპორტის მერე, მწერალსა თუ მიმდინარე ლიტერატურულ მოვლენაზე გაშვებული წუთნახევრიანი სიუჟეტი. შედეგი, როგორც ხედავთ, სახეზეა.

მახსოვს, ჩუმი ვიდეო ხოლმე მამას მაგიდიდან წიგნებს და რაც მას აინტერესებდა, მეც იმას ვკითხულობდი. შემდეგ ის ავტორი, წიგნის სახით, ცოცხლდებოდა ჩემთვის. პროექტის სახელწოდებაც აქედან წამოვიდა. მწერლები ცოცხალი წიგნებია, ისინი მიდიან მკითხველთან და უკითხავენ მას თავიანთ წიგნებს.

როცა სამინისტროში მოვედი და განისაზღვრა, რომ უნდა ვყოფილიყავი მინისტრის მრჩეველი ლიტერატურის მიმართულელებით, გადმომეცა მწერალთა წერილების უზარმაზარი არქივი. ათასნაირი შინაარსის წერილი იყო — წიგნის გამოცემაზე, სოციალურ პრობლემებსა თუ, ზოგადად, ლიტერატურის პრობლემებზე. თითოეულზე პასუხის გაცემა, ან სათითაოდ ყველა თხოვნის შესრულება დაკმაყოფილება იქნებოდა ძალიან რთული. ფაქტია, რომ მწერლობას დღეს არ ულხინს, აკლია მკითხველი, განიცდის ფინანსურ პრობლემებს, თანამედროვე ავტორების უმეტესობა დაუსაქმებელია,

მწერლური შემოსავალი ელემენტარულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნებზე არ ჰყოფნის. ამასთან, მკითხველსაც, განსაკუთრებით რეგიონებში, აკლია ავტორებთან ურთიერთობა, მოკლებულია მათთან შეხვედრის სიამოვნებას, დაშორებულია დედაქალაქში მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას. მოკლედ, პრობლემა არის კომპლექსური, ამიტომ დავინყე ფიქრი



იმაზე, როგორ დამელაგებინა პრიორიტეტები და თუნდაც ერთი პროექტით დამეწყო სიტუაციის გამოსწორება. მოვიფიქრეთ ასეთი რამ — შეგვეკრიბა მწერლები, დაგვეყო ჯგუფებად, გვემოგზაურა და გაგვეცნო მათი არაჩვეულებრივი შემოქმედება მკითხველისთვის, რომელიც ასე მოწყურებულია ამგვარ აქტივობებს.

პროექტი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. ხუთკაციანი მობილური ჯგუფები თითო კვირით გაემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გამართავენ შეხვედრებს, შემოქმედებით საღამოებს, მონაწილეობას მიიღებენ ლიტერატურულ დისკუსიებში. პროექტი ითვალისწინებს ასევე რეგიონებში საბიბლოთეკო, სამუზეუმო, სასკოლო და სხვა დაწესებულებებში სტუმრობას, ცოცხალ დიალოგს მოზარდებთან, პედაგოგებთან, გლეხებთან, სამხედრო ნაწილებთან.

მწერლები ირგებებიან, მუშაობენ და, რაც მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საკუთარ შემოქმედებას აცნობენ მკითხველს, არამედ თავის კოლექტებზე, მათ წიგნებზეც ესაუბრებიან აუდიტორიას. აცნობენ იმ ახალგაზრდა ავტორებსაც, ვინც სულ ახლახან გამოჩნდა ლიტერატურულ ას-

პარეზზე და გამოჩნდა საინტერესოდ, იმედინად. გარდა იმისა, რომ კულტურის სამინისტრომ თავის თავზე აიღო სამიველინებო ხარჯები, მწერლებს, რომლებიც დასაქმებული არიან ამ პროექტში, სახელშეკრულებო განაცხადის საფუძველზე უნაზღაურებს შრომას.

— მწერალთა პირველი ხუთკაციანი ჯგუფის ერთკვირიანი გასვლა უკვე შედგა შიდა ქართლში. მთელი საქართველო უნდა მოიაროთ?

— მთელ საქართველოს მოვივლით-მეთქი რომ ვამბობ, შეიძლება ხმამაღლა უღერს, მაგრამ ჩვენი რეგიონალური სამსახური უკავშირდება ყველა მუნიციპალიტეტს, აცნობს მათ ამ პროექტს და შემდეგ ისინი გვიმზადებენ შეხვედრებს მკითხველთან. თუმცა, პროექტი ითვალისწინებს სპონტანურ შეხვედრებსაც. წარმოიდგინეთ, მივიღვართ მანქანით, მაგალითად, დასავლეთისკენ და ვხედავთ გლეხებს, ყანაში რომ მუშაობენ, ვჩერდებით, მივიღვართ მათთან და ვინყებთ ლექსების კითხვას, ანდა პლაჟზე, ხალხი რომ ირუჯება და ისვენებს, გამოვჩნდებით და ვმართავთ სახელდახელო ლიტერატურულ საღამოს. ეს პროექტი ასეთ სიგუჟეზსაც ითვალისწინებს. რატომაც არა?! კარგად მახსოვს, წლების წინ, როცა განსაკუთრე-

სხვა საქართველო ვნახეთ

ბით უჭირდა თანამედროვე ქართულ მწერლობასა და მის მკითხველს, დათოტურაშვილი და რატი აბალობელი „მრგვალ ბაღში“ მართავდნენ ამგვარ სპონტანურ, ცოცხალ შეხვედრებს — დგებოდნენ და იწყებდნენ კითხვას, მათ გარშემო ხალხი იკრიბებოდა. მიზიურშიც, როცა იქ ვმუშაობდი, ხშირად მოდიოდნენ ახალგაზრდა პოეტები და კითხულობდნენ ლექსებს. ასე რომ, ცოცხალი წიგნები ყოველთვის არსებობდა.

— როგორც ვიცით, პირველი ჯგუფის გასვლისას, სწორედ ასეთი სახელდახელო საღამო გაიმართა სოფელ ვარიაში.

— იაკობ გუგუშვილის სახე-მუზეუმის დათვალეობა გვინდოდა. ეზოში ვისხედით და ნელ-ნელა მეზობლები გადმოვიდნენ, ერთმანეთს გააგებინეს ჩვენი იქ ყოფნის ამბავი და დაახლოებით ორმოცდაათი კაცი შეიკრიბა. მაშინ ბექა ქურხულიძე, სრულიად სპონტანურად, თავისი ომის ჩანაწერების კითხვა დაიწყო. საოცარი შეხვედრა გამოვიდა, სავსე და ცოცხალი. როცა ბექამ კითხვა დაასრულა, 12 წლის ბიჭი მიუახლოვდა, სახელოზე მოქაჩა და სთხოვა, შენი წიგნი მაჩუქეო. სამწუხაროდ, ბექას წიგნი თან არ ჰქონდა. დაპირდა, აუცილებლად ჩამოგიტანო და მომდევნო კვირას ლადო კილასონიასთან და თავის უფროს ვაჟთან ერთად მართლაც დაბრუნდა ვარიაში წიგნებით, დაბრუნდა ნიქოზშიც და იქაურ ბიბლიოთეკას უსაჩუქრა რამდენიმე გამოცემა.

— სოციალურ ქსელში, „ცოცხალი წიგნების“ ფეისბუქგვერდზე წავიკითხე კომენტარები იმის შესახებ, რომ პროექტის მონაწილეებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ საშუალება, წიგნებით ჩავიდნენ რეგიონში. პროექტის კურატორი, მარიამ ნიკლაური შიდა ქართლში მოგზაურობის შემდეგ წერდა კიდევ, არავის გვექონდა წიგნები, რომელთაც თავისუფლად შევთავაზებდით მკითხველს, თუნდაც ვაჩუქებდით, გაყიდვაზე ხომ ლაპარაკიც შედგებოდა.

— რამდენჯერმე ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი — წიგნები არ გვექონდა. წარმოიდგინეთ, ჩადიხარ ადამი-

ანებთან, ეუბნები, რომ თქვენ შორის კავშირი გაწყდა და ამ პროექტით მისი აღდგენა გსურს, არწმუნებ, რომ გჭირდება და გასესხ მათთან ურთიერთობა, ბოლოს კი, ბლოკნოტზე უტოვებ ავტოგრაფს და ასე შორდები. ეს პროექტი როცა დამტკიცდა, მიემართე როგორც მწერლებს, ასევე გამოცემლებსაც, პირადადაც დავეუკავშირდით და მონაწილეობა ვთხოვეთ. შევთავაზეთ, ემოგზაურათ ჩვენთან ერთად, ნახევარ ფასში გაეყიდათ პროდუქცია, მინიბარობები მოეწყოთ. ჩვენ ვიცით და გვესმის, რომ გამოცემლებს დღეს არ ულხინს — მიუხედავად ამისა, საერთო, შეგროვილი თანხით ნაქირავები სამარშრუტო ან მსუბუქი მანქანით წამოღებული თანამედროვე ავტორების წიგნები და რაიონებში ჩატარებული გამოფენა-გაყიდვები, რაც უნდა წამგებინა აღმოჩნდეს პირველ ჯერზე, მაინც დიდი დივიდენდია სამომავლოდ, რადგან შეიძლება, ამან მოუტანოთ დიდი მოგება და გაზარდოს რეგიონებში მოთხოვნა მათ მიერ გამოცემულ წიგნებზე. ამიტომ ვფიქრობ, არ ღირს ყველაფრის ემპირიულად, ფინანსურად გათვლა, ცოტა შორს გავიხედოთ და ყველანი — მწერლებიც, გამოცემლებიც, მკითხველიც მოგებული დავრჩებით. სხვათა შორის, იმ პოსტებს, ფეისბუქგვერდზე, დიდი გამომხაურება მოჰყვა. დაგვიკავშირდა არაერთი ავტორი, ჟურნალ-გაზეთის რედაქტორები და შემოგვთავაზეს, სრულიად უსასყიდლოდ გაგატანოთ წიგნებს, პერიოდიკის და თუ გნებავთ, წამოგყვებით და ჩვენი ხელით დავარიგებთ გამოცემებსო.

მხოლოდ გამოცემები კი არა, ამ პროექტში გვინდა, ჩავერთოთ პენ-კლუბი, მწერლთა სახლი, მწერალთა ყველა ორგანიზაცია, რაც კი არსებობს საქართველოში, ასევე — პერიოდული ლიტერატურული გამოცემების რედაქციები. აი, ასეთ ჩართულობაზე ვამყარებთ იმედებს.

— ბექა ქურხული ნიქოზში მიბრუნდა წიგნებით, თქვით. პირველი ჯგუფის მოგზაურობა შიდა ქართლში, ალბათ, ძალიან ემოციური იყო, სწორედ კონფლიქტის ზონის სოფლებში შესვლის გამო.

— სამწუხაროდ, ყველგან ვერ მოვახერხეთ მისვლა. საპატრულო გამშვები პუნქტი რომ გავიარეთ, მესაზღვრე ბიჭებმა გაგვაჩერეს, ვინა ხართ, საით მიდიხართო. ერთი მანქანა მწერლები ვართო — ბექა ქურხულია უთხრა და მათაც ღიმილით გაგვატარეს. ნიქოზის სკოლაში ვიყავით, საუბისკოპოსო რეზიდენციასთან არსებული სკოლა. იქვე აქვთ ვახტანგ როდონიას სახელობის ბიბლიოთეკა — წარმოგიდგინათ? კიდევ საოცარი რამ ხდება: მულტიფილმებს იღებენ ბავშვები. იქ მუშაობს ანიმაციური ფილმების კლასი და იმართება ანიმაციური ფილმების ფესტივალი. ტონინო გურას გამოფენაც დაგვხვდა, გურასს მუდამ მუსიკალური ფესტივალები, ჩაუტანია მისი ნახატები და იმდენად აღფრთოვანებულა, რომ მთელი ექსპოზიცია საჩუქრად დაუტოვებია სკოლისთვის.

იცით, თუ არის საოცრება?! ჩვენ რომ გვგონია, თითქოს ყველაფრის საქმის კურსში ვართ, რაც ქვეყანაში ხდება, თითქოს მაჯისცემაზე გვიდევს ხელი და ამ დროს, რეგიონებში არის ადგილები, სადაც კულტურული ცხოვრება დუღს და წარმოდგენა არ გვაქვს ამაზე. მაგალითად, გაგებული მქონდა, რომ არსებობს გორის სახელგანთქმული კაპელა, რომელიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და არაჩვეულებრივ კონცერტებს მართავს. სწორედ ახლა, გორში ჩასულემბა, მოვეუსმინეთ მას და იმ ჰანგებში შეძრულმა ვთქვი კიდევ საჯაროდ, აქამდე რომ არ გიცნობდით, მრცხენია-მეთქი.

თურმე, ასეთი აღმოჩენებისთვისაც საჭირო ყოფილა ეს პროექტი. თითქოს სხვა საქართველო ვნახეთ.

ამ პროექტმა გამოაჩინა, რომ მარტო მწერალსა და მკითხველს შორის კი არა, საერთოდ, დედაქალაქსა და დანარჩენ საქართველოს შორის დიდი სივრცეული წარმოიქმნა. თურმე არ ვიცნობთ ჩვენს გმირებს. ბორჯომიდან დაბრუნებულმა მწერლებმა თქვეს, ტელეგადაცემა „იმედის გმირებს“ უნდა დავეუკავშირდეთ და რამდენიმე ადამიანზე მოვეუბნოთ. მათ შორის არის ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ვი-





ოლგა ბალახაშვილი. ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუზეუმი რეგიონში, დიდებული ექსპოზიციებით, ბრწყინვალე თანამშრომლებით, იგივე მინდა ვთქვა ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებზე. ამ ადამიანებმა თავგანწირვის დონეზე შეინარჩუნეს ეს მუზეუმები და დიდი ღვაწლის შედეგია, რომ ისინი დღემდე არსებობს, მოქმედებს, იმართება ღონისძიებები და აქტიური კულტურული ცხოვრება დღეს.

— იმ შეხვედრებმა, ალბათ, ბევრი პრობლემაც გამოაჩინა.

— მართლაც ძალიან ბევრი საჭირობო საკითხი გამოიკვეთა: უპირველესად, ეს ბიბლიოთეკების პრობლემაა. მაგალითად, კასპში ჩასულებს გვითხრეს, რომ მათ ქალაქში, ათი-თხუთმეტი წლის წინ 46 ბიბლიოთეკა იყო, ახლა მხოლოდ ერთია. მეორე პრობლემა არის ის, რომ საცავებში არ აქვთ წიგნები. ძალიან მწირი ფონდებია. გორში, ხაშურში და სხვა, შედარებით დიდ ქალაქებში გვითხრეს, რომ ისინი წელიწადში ორჯერ მაინც ახერხებენ, მოინვიონ რომელიმე გამომცემლობა, მოაწყონ გამოცემების პრეზენტაცია და შეისყიდონ წიგნები. გრძელდება ბიბლიოთეკების ვაუჭერიზაციის პროგრამაც, რომლის ფარგლებში, კულტურის სამინისტრო ყველა ბიბლიოთეკას აძლევს საშუალებას, შეისყიდონ წიგნები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მოთხოვნა არ არის თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები წუხილით გვეუბნებოდნენ, ბავშვები, ძირითადად, თრილერითა და ფენტეზით ინტერესდებიანო. შეიძლება, დრომ მოიტანოს და ჩვენშიც განვითარდეს ეს ლიტერატურული ჟანრები, მაგრამ ამ პროექტით გვინდა, გავაცნოთ მკითხველს თანამედროვე ქართული ავტორების შემოქმედება, გავაგებინოთ, რაზე წერენ, რაზე ფიქრობენ, რა ანუხებთ დღეს.

მსიამოვნებს მალაზიაში რომ შევდივარ და მამაჩემის წიგნები მხვდება. მაგალითად, კასპში რეზო ინანიშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის და მამას წიგნები ვნახე, მაგრამ სხვებისა — არა. იქ წიგნის მალაზიებზე, კლასიკური გაგებით, ძალიან იშვიათია, პროდუქციით საკანცელარო მალაზიებს უფრო ჰგავს. მხატვრული ლიტერატურა ნაკლებად.

— ეს პროექტი მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მკითხველისთვის არის, არა მხოლოდ...



ოლოდ რეგიონებისთვის, არამედ თვითონ მწერლებისთვისაც.

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება მწერალი მხოლოდ ქალაქში ტრიალებდეს, არ შეიძლება ყველაფერი თბილისში იწყებოდეს და მთავრდებოდეს. დანარჩენ საქართველოსთან ურთიერთობა არა მხოლოდ ემოციურად, არამედ ენობრივადაც ხომ ამდიდრებს ავტორს. ისინიც უნდა მოდიოდნენ და ჩვენც უნდა ჩავდიოდეთ მათთან. ეს ტრადიცია უნდა აღდგეს აუცილებლად.

ამ პროექტის სიკეთე კიდევ ის გახლავთ, რომ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან დაკავშირებისას, ვთხოვთ მათ, პროექტის შესახებ შეატყობინონ ადგილობრივ მწერლებს, ისინიც მოვიდნენ მკითხველთან შეხვედრებზე, წაიკითხონ თავიანთი ლექსები თუ ნაწყვეტები პროზაული ნაწარმოებებიდან, მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში. მაგალითად, გორში ბატონი ვანო ჩიკვაძე შეუერთდა ჯგუფს, ჩვენთან ერთად იარა, კითხულობდა ლექსებს. კახეთში თემურ ჩხეტიანი და გვგვდება, არაჩვეულებრივი პოეტი, მის კოლეგებთან, მეგობრებთან ერთად. ყველგან იმდენი ნიჭიერი ადამიანი და იმდენი კალმოსანია... ეს პროექტი ამ ადამიანების ერთმანეთთან შეხვედრასაც გულსისხმობს.

— ხუთკაციანი ძირითადი ჯგუფის გარდა, სხვა ავტორებიც მონაწილეობენ გასკვლებში?

— თითოეულ რეგიონში გადის ხუთკაციანი ძირითადი ჯგუფი, ვინც ხელფასს იღებს. გვყავს მოხალისეებიც, რომლებიც მიჰყვებიან ჯგუფს, ასე ვთქვათ, გასაძლიერებლად. შემდეგ ჯგუფის წევრები იცვლებიან და ისინი, ვინც პირველი გასკვლისას დამხმარებელად იყვნენ, ახლა ძირითად ჯგუფში ინაცვლებენ. პროექტი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. დაგეგმილია, რომ სამოცდაათმეტამა მწერალმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. სხვათა შორის, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მეუბნებოდა — იცი, რატომ არის ეს კარგი პროექტი, ჩვენც, მწერლებიც უკეთ გავიცნობთ ერთმანეთსო. შიდა ქართლში იმოგზაურებს ირაკლი ლომოურმა, კატო ჯავახიშვილმა, პაატა შამუგამმა, ნინო სადღობლაშვილმა, ბექა ქურხულმა. მალე მივმგზავრებით ქვემო ქართლში ბათუ დაწვლისთან, მაკა მიქელაძესთან, გია არგანაშვილთან, ნინო ქადაგიძესა და თამარი ფხაკაძესთან ერთად. ჯგუფის სავარაუდო შემადგენლობა ასეთია. წინ ნალკა, თეთრიწყარო, დმანისი, ბოლნისი, მარნეული და რუსთავია.

პროექტის მიმართ ინტერესი და მასში ჩართულობა იმდენად დიდია, რომ კულტურის მინისტრი მონადინებულია, მომავალ წელსაც გაგრძელდეს პროექტი და გაიზარდოს მისი მასშტაბები.

კიდევ ერთი საინტერესო იდეა ახლავს „ცოცხალ წიგნებს“: ყველა მწერალი, რომელიც მოგზაურობს და ხვდება მკითხველს, შემდეგ წერს დღიურებს, აკეთებს ჩანაწერებს. საბოლოოდ, ჩანაწერები აიკინძება და გამოიცემა წიგნად. ეს იქნება წიგნი მწერლის თვალთ დასახულ თანამედროვე საქართველოზე. მანამდე კი დიდი სურვილი გვაქვს, პროექტის მიმდინარეობის პარალელურად, დღიურები ქრონიკის სახით გამოქვეყნდეს ლიტერატურულ პერიოდიკაში, ძალიან გავციხარდება, თუკი მწერლების იმ ჩანაწერებს „ლიტერატურული გაზეთის“ გვერდებზე ვიხილავთ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლელა ცუცქირიძე

წიგნი — თავშესაფარი

ჴმრ მისი ლექსები იყო ადამიანებზე, რომლებმაც ჩამკიდეს ხელი და აღარ გამიშვეს.

ვკითხულობდი და ვკითხულობდი. არა ორჯერ და არა სამჯერ — ბევრჯერ.

მერე ადგენენ ეს ლექსები და მიმიყვანეს რობერტ მესხთან, რობისთან. მასთან, ვინც ჩემს ქალაქში დადის და უკან თავისი თეთრი ქალაქი დაჰყვება თეთრი კრავივით.

ამ ქალაქს ზღვისფერი თვალები აქვს და ამ ზღვისფერ თვალებში ყველა მისი ქუჩა მოჩანს, ყველა მისი ხე, კენჭი, ნიჟარა, ცხადი, სიზმარი...

მოჩანან ტკივილგამოვლილი ადამიანები, რომლებიც პოეტმა შეიფარა თავის ლექსებში — თავშესაფარში.

ფოტოალბომს ჰგავს მისი წიგნი — „მზის რაფსოდია“.

გადაშლი და ლექსებს ფოტოებად ხედავ. ამ ფოტოებს ზღვის მლაშე სურნელი მოჰყვება, მიმოზღვის მზიანი ფერი, ნაბიჯების ხმა, ხეთა ჩუმი შრილი...

ჩანს ნაპირი, სადაც

„...ჩვენ ვისხედით და ერთმანეთის თვალებში ამოგვყავდა მზეები“ — („დაგვიანებული ლექსი ალის“).

„ეს ის ნაპირი უნდა იყოს... ის ცაა, ის ცა!“ — რომლის ქვეშაც დარჩა ბავშვობა — „მზესუმზირის მარცვლებივით ჯიბეებიდან ამოცვენილი“.

ეს სევდიანი ფოტო-ლექსებია, თეთრი ქალაქის მონატრებით სავსე ლექსები.

„ზღვაურიც განა ზღვაურია? — სულთათანაა უკვე და... გვედრი, ნუ გამიხსნი ბებერ იარებს! ირონიაა ბედის, აბა რა დოზანაა?.. ჩასვლის სანაცვლოდ, მენს ქალაქს რომ „გააზიარებ!“ —

(„მინანერი „აფსნიპრესის“ ფოტოზე“).

ამ ტკივილით გადის ერთი, ორი, სამი, ოთხი... კიდევ ბევრი წელი და ის, მონატრებასთან ერთად, კი არ ცხრება, უფრო იმატებს:

„ნეტა ახლა როგორი თვალები აქვთ ჩემს ქალაქში ადამიანებს, მღვრი ზღვის თუ გვიანს შემოდგომის ფერი?...“ — („ინტერვიუ“).

მე არ ვიცი, როგორი თვალები აქვთ რობის ქალაქში ადამიანებს, არ ვიცი, როგორი თვალები აქვს ალის, თუმცა ვიცი, როგორი ხმა აქვს ციცოს — ეს ხმა ლექსიდან მესმის:


„*İñññæðñññ ïñçă*
„Ñóðñie-ðáèèèñë“
Í ðéáúáááò íá ïáðáúé íóðú“...

და იქვე, რობის ხმაც — სული რომ მოჰყვება, ისეთი:

„დავხიკოთ ახლა ჩვენი მკვდრები, ციცო, მშობლები, ციცო, და-ძმები, შვილები, მეზობლები, ყველა ბორცვზე ნაწოლი... უკვე არ ექნებათ ხორცის სუნი კუბოებს, მინის სუნი ექნებათ მხოლოდ, და არავის შეუშლიან დღეიდან — არსად! არსად! არსად!..“

მოვკრიბოთ ანი ჩვენი გადარჩენილი მიცვალებულები, ციცო, ცოცხლებიც, ცოცხალ-მკვდრებიც, დროაო „შეკრებად ქვათა“... —

(„მატარებლები“).



დიდი ხანია, აქ დადიან ეს ადამიანები — ცოცხალ-მკვდრები, ცოცხლად დარჩენილები. ადამიანები, რომლებსაც მარტო აფხაზეთიდან გამოსახლება არ აკმარეს.

„ჩვენ გამოგვასახლეს ციდან, საკუთარი თავებიდან გამოგვრეკეს გუშინ და იარეთო, გვითხრეს, ასე: პირდაპირ, ირიბად, მარჯვნივ, მარცხნივ... წრეზე, კვადრატზე, კუბზე... და ლოკეთო მარილი — თქვენივე თვალები, თოვლში ჩარჩენილი აქა-იქ...“ — („გამოსახლება“).

მასხოვს, როგორ ყუმბარასავით „აგე-იფეთქდა“ მკითხველებს ეს ლექსი ხელეშში, მისი ნამსხვრევები კი ჩავგვრჩა და დღემდე თავს გვახსენებს.

ლექსის ასე „აფეთქება“ მხოლოდ ნამდვილ პოეტებს შეუძლიათ, ისეთებს, როგორიც რობერტ მესხია.

გამორჩეული ხმა აქვს, გამორჩეული ინტონაციები. მის ვერლობრს — თავისი შინაგანი რიტმი და მუსიკა, კონვენციურ ლექსს — რითმა და ასევე, მუსიკა.

ის არ ერიდება სოციალურ თემატიკასა თუ სამოქალაქო პროტესტს. წერს იმაზე, რაც ანუხებს, რაც მისთვის ძვირფასია. წერს ადამიანებზე, ვინც უყვარს, ვინც ახსოვს, ვინც ენატრება. წერს თავად სიყვარულზე, აი, ასე, სულშიჩამწვდომად:

„ორი გულყვითელა ჩიტი ტოტზე შემოჯდა და წივის, ზეცას ფერი ადევს მიტკლის, — ცივა...“


ერთად გავუმკლავდეთ ზამთარს, მოდი, შეეუფე ფრთის ქვეშ, შენ რომ გამეყინო სადმე, გული გამისკდება იქვე“ — („ჩიტები“).

მის ლექსებში ვერ იპოვით სიყალბესა და პათეტიკას.

არის ლექსები — მინერალივით სუფთა და კრიალა. ეს რობერტ მესხის ლექსებია. არის წიგნი — ნიჟარასავით ყურმის-აგდები. ეს რობერტ მესხის „მზის რაფსოდია“.

და რა შეგებაა ადამიანებისთვის ასეთი წიგნი — სულმოთქმისათვის, გარინდებისთვის, შეებისათვის...


წიგნი — თბილი თავშესაფარი.



პაატა ნაცვლიშვილს სოლენზარის კულტურის ინსტიტუტმა მიანიჭა საერთაშორისო გრანპრი პოეზიაში შარშან პარიზში გამომცემული მისი ქართულ-ფრანგული წიგნისათვის „ხელოვნური ყვავილები“.

წიგნში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი 24 ლექსი და ერთი პოემა.

ვულტავთ პაატა ნაცვლიშვილს ამ ჯილდოს და გთავაზობთ მისი პრემიერული წიგნის წინასიტყვაობას, რომელიც წიგნის მთარგმნელს, ცნობილ ფრანგ პოეტს ათანას ვანჩევ დე ტრასის ეკუთვნის.



ათანას ვანჩევ დე ტრასი

სიუზაბე სიყვარულისა

„ტყვე ვარ ათასის რამის, რაც მიყვარს“. სიული პრიუდომი

„აჰა, ცრემლები სიყვარულის, მეტი, ვიდრე ცად ვარსკვლავები“. შარლ პეგი

პაატა ნაცვლიშვილი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შთაგონებული პოეტი... ეს იშვიათი კულტურის მქონე ერუდიტი და დახვეწილი ინტელექტუალი უმღერის სიყვარულის მდინარის ურიცხვ შენაკადს, რომელიც გულის შორეულ კუნძულებიდან მოედინებიან ხან მშვიდად და ნებვირად, ხანაც – შმაგად და დაუდგრომლად.

პაატა ნაცვლიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უღამაზესი ქვეყნის, საქართველოს შვილია. ამ ქვეყნის ისტორია კოლხეთისა და იბერიის სამეფოებიდან იღებს სათავეს. ქართლის უძველეს სამეფოს, რომელსაც ბერძნებმა და რომაელებმა იბერია უწოდეს, ივერიადაც მოიხსენიებენ და მისი საზღვრები დღევანდელი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მოიცავს.

საქართველოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში მიიღეს. ქვეყნის მფარველია წმინდა გიორგი, რომელიც ამავე დროს მფარველი გახლავთ მთელი ქრისტიანული რაინდობისა (ტამპლიერების, ტევტონთა, წვივსაკრავის, წმინდა მიქაელისა და წმინდა გიორგის ორდენებისა).

კაცი, რომლის ძარღვებშიც საუცხოო ისტორიითა და ათასწლოვანი კულტურით გაჯერებული სისხლი ჩქეფს, თავისებურად აღიქვამს და გადმოსცემს სამყაროს. მისი მსოფლმხედველობა უაღრესად ფართო და ნათელია, მისი ენა გარდასულ დროთა სასწაულებითაა გამდიდრებული.

პაატა ნაცვლიშვილის პოეზია ნაყოფია ჭიდილისა ნათელ გონებასა და მეოცნებე გულს შორის. ამ შინაგანი ბრძოლის დედაარსს ცხადად გადმოსცემს მისი შესანიშნავი ლექსი „არტურ რემბო“:

მადლობელი ვარ ზეგარდმო ძალის, რომ მოვალნიე როგორღაც მარსელს, ჩემს სასათუმალთან ზის ვილაც ქალი და წყალს ხელების კანკალით მასმევს.

მე მახსოვს მხოლოდ ჩემი საჰარა – ჩემი აფრიკა და ინდოეთი, მე მიმკურნალეს, მე მომარჩინეს – მე აღარა ვარ უკვე პოეტი.

მე მახსოვს მხოლოდ ჩემი საჰარა, მე არაფერი არ მახსოვს მეტი, და რომც მახსოვდეს ახლა რაიმე, უკვე ვერავის ვერაფერს ვეტყვი.

მე მოველოდი რაღაც სასწაულს და არ უჩანდა საზღვარი ლოდინს, თურმე გყოფილვარ ერთ დროს პოეტი, მაგრამ არ მახსოვს, როგორ და როდის.

იყო ბოდლერი, იყო ვერლენი, იყო ლაფორგი და იყვნენ სხვები, მეც მიწერია მამინ ლექსები და მე პოეტთა ვყოფილვარ მეფე.

მახსოვრობას კი შერჩა უდაბნო და ჩალისფერი ქედების კეხი, მე კომერსანტი ვიყავი მხოლოდ და მივაკარგე სადღაცა ფეხი.

ვილაც ჩემს ლექსებს მიკითხავს ჩუმიად, მაგრამ არცერთი არ მომინდა ახლოს, ვიხსენებ, მაგრამ ვერ ვავიხსენებ, მე ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს.

ჭირისუფლები ჩემ სარცელთან თევზით უტყვი თვალებით სხედან, დაუსტამბიათ ჩემი ლექსები, რამდენი ფრანკი მერგება ნეტა?!

მადლობა უფალს, მე არ მჭირდება ბრბოს ტირილი და მიეთ-მოეთი, მადლობა უფალს, მე გამოვსწორდი, მე აღარა ვარ უკვე პოეტი.

პაატა ნაცვლიშვილი მჭმუნვარე გზების პოეტი, მგოსანი, რომელსაც სძაგს სიმართლის მანტიანში გახვეული სიცრუე. მას ნიცშესავით სჯერა, რომ „თავისუფალი ცხოვრება ძალუძთ ოდენ დიადათა სულთა“. მისი პოეზია გვაღელვებს, გვაბნევს, გვაღბობს, გვაფორიაქებს. ის გმობს ფიქრის უმისამართო აგრესიას. მან იცის, რომ მეხოტბენი ფუთავენ სიმართლეს, რათა სინამდვილედ მოგვაჩვენონ ისტორია. ის იცნობს ექსტაზის სიამებებს, განიკითხავს

გულგრილთ, შეჰხარის ბუნების მრავალფეროვან ერთიანობას. მისი პოეზია კარს ალღებს სამეგობროდ და სულის საღებნად. მიუხედავად ღრმად ემოციური ბუნებისა, პაატა ნაცვლიშვილი მყარად დგას მინაზე. მისი ლექსი თრთის და ვიბრირებს, როგორც მშვილდის ლარი ისრის გატყორცნის შემდეგ.

თუმცა პაატა ნაცვლიშვილმა იცის, რომ პოეზია, რომელიც გვინათებს სასიყვარულო ბილიკებს, აკეთილშობილებს ჩვენს ყოფას, მისი ნათელი გონება იმასაც სჭვრეტს, რომ პოეზია ამავდროულად გულის ჭრილობაა, საიდანაც მთელი სამყაროს დარდი პოეტის სულისკენ მიიკვლევს გზას. პოეზია სიმკვრივეს აძლევს სინათლეს და რაც უფრო კაშკაშაა ეს სინათლე, მით უფრო ღრმა და პირქუშია უკუნეთი, რომელსაც გონება ხედავს. პოეზია აცისკროვნებს ჩვენს ყოველდღიურობას და განგვაცდევინებს სასურველ ბაგეთა სიტკბოებას. პაატა ნაცვლიშვილი უფროსი ილდეება მოგონებებს და ეშინია მათი დაკარგვის. არის მასში, რაღაც ისეთი, რასაც ზუსტად გამოხატავს მიშიმას ფრაზა: „დამოუკიდებლობის ზვიადი ილუზია გრძნობების მოკრძალებულობას მოითხოვს“.

პაატა ხვდება, რომ ამ გათითოვებულ მსოფლიოში ადამიანის ერთადერთი ერთგული მეგზური დროა. სილამაზე ვნებას აცხრობს, მაგრამ მხოლოდ დრო კურნავს ჭრილობებს. პაატა ნაცვლიშვილი ვერ ჰგუობს ანგარებიან და მდებალ სულებს. მას სძულს პირქუში სიბეჩავე, უღირსობას შეგუებული მოწყენილობა. მის ლექსებში არ არის არავითარი ამპარტავნება, არავითარი კონფორმიზმი. პაატას ხმა გულის სიღრმედაა ამოხეთქილი. სწორედ ადამიანის იდუმალ სიღრმეებში დაეხეტებიან მოგონებები, გარდასული სურათ-ხატებისა და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილების ძიებაში. სწორედ ადამიანის იდუმალ სიღრმეებში გარდაიქმნებიან საგალობლებად და პოეტური შემოქმედების ხმოვან მძივებად უფერული და ბლანტი დღეები. და ეს ხმა, აბობოქრებული, შმაგი და მძვინვარე, ელვარე შადრევნად ამოჩხუხუხდება და მარადისობას აზიარებს ადამიანს. „შემოქმედება – აი, რა გვიხსნის ტკივილისაგან, რა შეგვიმსუბუქებს ყოფას“, – ამბობს ნიცშე.

როდესაც ვეცნობით საქართველოს, ვხვდებით, რატომაცაა პოეზია ესოდენ ორგანული მის შვილთა სულებისთვის. შეუძლებელია, პოეზიის ციებ-ცხელებამ არ შეგვიპყროთ იქაური ბუნების მშვენიერებისა და დიადი მთების შემყურე. არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ საოცარი ქვეყნის ყველა მცხოვრების გულის სიღრმეში გუ-

გუნებს შოთა რუსთაველის რვასაუკუნოვანი შედევრის „ვეფხისტყაოსნის“ ათასობით პოეტური სტრიქონი.

სწორედ ამ ინტიმურ კონტექსტში მუშაობს პაატა ნაცვლიშვილი, ამავდროულად, ის ნამდვილ სულს შთაბერავს თავის პოეზიას. ამის ნათელი მაგალითია მისი პოემა „წერილი“, რომელიც უაღრესად ზუსტად აღწერს უპასუხო სიყვარულით გულგატეხილი მიჯნურის კაეშანს:

ვერ ამიხსნია ეს გაორება, მე ახლა უკვე სხვადა ვარ თითქოს, ჩემში ჩამჯდარა ორი არსება, ორივე ჩემგან თავისას ითხოვს. ორი არსება ჩამჯდარა ჩემში, ორივე თავის სიმართლეს იცავს, კაცის ცრემლივით ტკბილ-მწარე ღვინოს ორივე თავის დოქიდან მისხამს.

შენ რა ღირსი ხარ ამ წერილისა, მაგრამ მე მაინც მოგწერე იგი. მე არაფერი არ მეგულემა შენი მეტყველი თვალების იქით. მგონი, ვილაცამ ჩართო რადიო – ჩემკენ მოიწვეს ბებერი გრიგი... იქნებ წერილი არც ღირს ამდენად, მაგრამ, გთხოვ, მაინც გახსენი იგი! მე არაფერი არ მეგულემა მაგ მშვენიერი თვალების იქით!..

ეს არის, ალბათ, უკანასკნელი, მე აღარასდროს მოგწერ ბარათებს, დღესაც არაფერი გეტყობი, მაგრამ, მგონი, სიმთვრალე მალაპარაკებს... მე ველი წერილს, მე ველი წერილს, რადგანაც რამეს ელოდო უნდა, ეს იყოს, თუნდაც, მხოლოდ საღამი, ეს იყოს სუფთა ფურცელი თუნდაც!

პაატა ნაცვლიშვილის ყველა ლექსი უჩვეულო ნოსტალგიითაა დაღდასმული. შორეული თუ არცთუ შორეული მოგონებები თითქოს უხსოვარ წარსულში იღებენ სათავეს. მის შემოქმედებაში მრავალადაა მითოლოგიური ალუზიები, ბუნებრივი მოვლენების გაღვივების მაგალითები, მისთა წინაპართა მსგავსად.

ქალები მის ლექსებში ნამდვილი ფერიები არიან. ისინი მომხიბვლელ და მაცთურ სიზმრისებრ ქალთებზეებს ჰგვანან, რომლებსაც მის შემოქმედებაში შეუსხამთ ხორცი. მოგონება ქალადაა ქცეული, ქალი – მოგონებად.

პაატა ნაცვლიშვილის პოეზია სულის ინტიმური პეიზაჟების ეპოპეაა.

თარგმნა თეიკო მხალაოლიშვილი



ფოტოზე: პაატა ნაცვლიშვილი და ათანას ვანჩევ დე ტრასი (პარიზი, ივნისი, 2014)

„ლიტერატურული გაზეთის“ გამონერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com